ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო

პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne

„IVERIA"

Directeur E. PATARIDZE. სარედაქციო კოლეგია.

თებერვალი № 4 FEVRIER

შინაარსი:

1. დროებითი ზავი და მუდმივი ომი ..... ალ. ასათიანი
2. † სრულიად საქ. ქათალიკოზ-პატრიარქის კალისტრატეს გარდაცვალება .... ***
3. სტალინის სოციალიზმი ..... სევ. ჭირაქაძე
4. „სიბრძნე" სიცრუისა ..... რ. გაბაშვილი
5. ჩვენ და ისინი ..... ვ. შუბლაძე
6. საქართველოს საკითხი ..... დ. ჩ.
7. საბჭოთა კავშირი და რუსეთი ..... ამერიკელი
8. ერ.-პოლ. ძალთა მთლიანობა და ქარ. ერ. პოლ. გზები (მოხსენების თეზისები) ელ. პატარიძე
9. უბადრუკი თავდაცვა ..... ე. პ.
10. ელ. პატარიძის მოხსენები ს გამო ..... დამსწრე
11. ვისბადენის კონფერენცია ..... ***
12. სხვა და სხვა ამბები ..... ***

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

LE PARTI NATIONAL DEMOCRATE GEORGIEN

პარიზი — PARIS

1952

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ
ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 1952. **№ 4** FEVRIER 1952

ი-5ᲧᲒ

ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲖᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲝᲛᲘ

1951 წელს დასრულდა ერთი დიდი და ფრიად თავისებური ეპოქა. ეს იყო საერთაშორისო ასპარეზზე ახალი ფენომენის, ბოლშევიზმის გაჩენა, მისი გიგანტური ზრდა, მცირე ჯგუფიდან მსოფლიოს მესამედზედ გადაქმნილ ძლიერებად გადაქცევა. ეს იყო ამ ძალის მძაფრად ამხედრება თანამედროვე ცივილიზაციის წინააღმდეგ, მისი მძლავრად შერყევა, ყველა მისი ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური საფუძვლების მძიმედ დაზიანება. ეს იყო ამ ახალი ფენომენის რევოლიუციონური დინამისამით დანარჩენი მსოფლიოს დაშინება, მორალურად გატეხა, დემოკრატიულ და სოციალისტურ ძალების ქოჩრით დათრევა და. ათეული წელთა მანძილზე მათი ბურთაობა. ამ ფენომენის გამძლავრების შემდეგ მსოფლიო გაეხვია პერმანენტულ რევოლიუციებისა და ომების ცეცხლში. მასთან დაახლოვების, შეთანხმების და დაზავების ყველა ცდები უშედეგოთ დარჩენ. მასთან დიპლომატიური, თუ სხვა ურთიერთობა მრისხანე, ბატონისა და საწყალი მონის ურთიერთობას და, ირაკში მოთხრობილ მგლისა და ცხვრის დიალოგს ემსგავსებოდა. ონუს ერთ სხდომაზედ ბოლშევიზმის წარმომადგენელმა ახდილად განაცხადა იქ შეკრებილ დემოკრატიულ მსოფლიოს წარმომადგენლებს: თქვენი ფეხების მეჭეჭებზედ მუდამ ჩექმის ჭუსლებს რომ გაჭერთ, ჩვენ ამას იმიტომ ვშობით, რომ თქვენ მიხვდეთ და გაიგოთ თუ რას გიპირებთ, რას გიმზადებთო. 30 წლის მანძილზე დასჭირდათ მათ გამუდმებით წარმოება ასეთი ოპერაციებისა დემოკრატიული სამყაროს ფეხებზედ და ბოლოს, როგორც იქნა მიზანს მიაღწიეს: მსოფლიო დემოკრატიამ გაიგო და შეიგნო, თუ რას უმზადებს მას ეს ძალა და რას უპირებს. ხოლო ამ გაგებისა და შეგნების შედეგი ის იყო, რომ უკვე წინა წლებში დაწყებული შეიარაღება, დემოკრატიული ქვეყნებისა, 1951 წელს ახდილად საომარ მზადებად გადაიქცა და მან ბუმბერაზული ფორმები მიიღო. დემოკრატიულ სამყაროს დამბლა-დაცემულობა გასთავდა. ამერიკის მეთაურობით ეს ძალა ფეხზედ წამოდგა. მტერს თვალი გაუსწორა და მისი დაულსრულებლივ ბრძოლაში გაწვევებზედ თანხმობა მისცა. მსოფლიო ვითარების დიდი გარდატეხის კიდევ უფრო ნნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვნელოვანი მოვლენა ის არის, რომ ამ კლასიკური წესით მილიტარულ ომისთვის მზადებასთან და ამავე დროს კორეაში დროებითი ზავის ჩამოგდებისათვის მოლაპარაკებებთან ერთად, მსოფლიო დემოკრატიამ უკვე დაიწყო ომი, ხოლო მეორე ხაზზე, რევოლიუციონურ, სამოქალაქო ომების ხაზზე. ასეთი ფორმა ომისა აქამომდე ბოლშევიკების სრულს მონოპოლიას წარმოადგენდა. არა მილიტარული, არამედ ასეთი ომებითა და ბრძოლებით შექმნეს მათ თავისი გიგანტური ძალიერება და ძირიან-ფესვიანად შეარყიეს დემოკრატიული სამყარო. ასეთი სახის ომი ბოლშევიკებისაგან გამოგონილი არ არის. ის ძველი დროიდან იყო ცნობილი. დემოკრატიულ ქვეყნებსაც უწარმოებიათ ის წარსულში და დიდი წარმატებებითაც. ხოლო ბოლშევიზმის წინააღმდეგ მის გამოყენებას ერიდებოდენ, ვინაიდან შეპყრობილი იყვნენ მასთან დამეგობრების სურვილით, და ამისთვის ხომ დემოკრატიულ და სოციალისტურ ძალებმა მასთან ერთობაც დაამყარეს ერთხანს და სახალხო დემოკრატიის ფრონტიც შექმნეს. ეს ამბავი დასრულდა და დემოკრატიულმა სამყარომ ასეთი ბრძოლა უკვე დაიწყო.

ამ საგანზედ მრავალი იწერება ამერიკულს გამოცემებში. გენ. ბენნერ-ფელერსმა, ფსიქოლოგიური ომის განყოფილების უფროსმა მარკ-არტურის შტაბში ამ უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს, დიდი წერილები მოათავსა ორს დიდს ჟურნალში. „ფსიქოლოგიურმა ომმა გასტეხა იაპონიის წინააღმდეგობა“, სწერს გენერალი. „თუ ჩვენ გვინდა დავამარცხოთ ბოლშევიზმი ისე, რომ არ მივმართოთ ატომიურ ომს, დაუყონებლივ უნდა გადავიდეთ შეტევაზედ და გამოვიყენოთ ეს საშინელი იარაღი. ... ის უნდა გამოისახოს ფრიად ენერგიულ და გეგმით წარმოებულ დახმარებაში საბჭოთა ერების ბრძოლისადმი ბოლშევიკურ ტირანიის წინააღმდეგ. ... ჩვენ მრისხანე დარტყმა უნდა ვაწარმოვოთ კრემლის ყველაზედ უფრო მტკივნეულ ადგილზედ — მის კონფლიქტზედ ხალხთან, ვინაიდან საბჭოთა მთავრობას ყველაზედ მეტად ამ თავისი ხალხის ეშინია. ... ორი მილიონი წითელი პოლიციელის არსებობა საუკეთესო საზომია ამ მისი დიდი უნდობლობისა საკუთარი ხალხისადმი...“. ამერიკელი გენერალი ურჩევს დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებს — გაიგონ და შეიგნონ, რომ საბჭოთა კავშირის ერები არსებითად ოკუპაციის ქვეშ იმყოფებიან. „უნდა დავანახოთ ამ ერებს, რომ ჩვენ ეს გვესმის... ჩვენ ახდილად და ხმა მაღლა უნდა ველაპარაკოთ საბჭოთა კავშირის მასსებს, როგორც რადიოს გადაცემათა საშუალებით, ისე ჰაერში აშვებულ სპეციალურ ბალონების შემწეობით. ხოლო ასეთი მუშაობის წარმოება არ შეუძლიან მთავრობებს. ისინი შებორკილი არიან დიპლომატიური ურთიერთობის წესებით. ამიტომ ასეთი საქმის წარმოება უნდა იკისრონ არა ოფიციალურ წრეებმა — მუშათა ორგანიზაციებმა. რელიგიურ, ყოფილ ჯარისკაცთა, ახალგაზდობისა და სხ. საზოგადოებებმა. ჩვენ შორის ცხოვრობენ ისეთი პირები, რომელნიც დიდი ნდობით სარგებლობენ თავიანთი დაპყრობილ საშობლოში. ჩვენ მათ უნდა აღმოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინოთ მორალური და მატერიალური დახმარება, და ისინი გამონახავენ თავიანთებთან ურთიერთობის საშუალებას“. ერთი დიდი ეროვნული ამტკიცებდა, კიდევ, რომ „ამერიკა მიდის ამ მესამე ომის წაგების **გზით, უკეთუ მარტო ამ კბილებამდე** შეიარაღებით იქნება შეპყრობილი. ... მწარე, ყოფაში ჩავარდნილ საბჭოთა ერებისათვის ვერ იქნება მიმზიდველი მათი ქვეყნების დანგრევის პერსპექტივა ატომიური ომის შემწეობით. უფრო ნაყოფიერი იქნება და ამ ერებისათვის უფრო მიმზიდველი მათთვის დახმარების გაწევა, რომ ეს ბრძოლა თვითონ მათ მოაწყონ. შეიარაღებაზედ რომ აურაცხელ მილიარდებს ვხარჯავთ, ამის მცირე ნაწილიც რომ მოხმარდეს ამ საქმეს, ეს უთუოდ მოულოდნელ შედეგებს გამოიღებს“.

როგორც სჩანს ასეთი გეგმების მიღებისათვის საჭირო ნიადაგი უკვე მომზადებული ყოფილა. ეს გასაგებია, ბოლშევიზმის ასეთი მუშაობა 30 წლის მანძილზედ დიდს მასალას იძლეოდა ასეთი ბრძოლის მეთოდის დასაფასებლად. 1951 წელს დაარსდა ამერიკაში და ევროპაში რამოდენიმე კომიტეტი, რომელთაც უკვე დაიწყეს ამ გზით მოქმედება. მოსკოვის მიერ დაპყრობილ ერთა ენებზედ რადიოგადაცემებს აწყობენ ამერიკა და აგრეთვე ევროპის ქვეყნებიც. დასავლეთ გერმანიაში მოქმედება დაიწყო „თავისუფალ ევროპის“ კომიტეტმა, რომლის წევრთა შორის ირიცხებიან ასეთი პირები, როგორც ატლანტიკურ კავშირის მთავარსარდალი გენ. ეიზენჰოვერი, ამერიკის უმაღლესი კომისარი გენ. მაკ-კლოი და რესპუბლიკანურ პარტიის ერთი ლიდერთაგანი — სტასენი. აგვისტოს დამლევიდან ამ კომიტეტმა უკვე დაიწყო თავისებური ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ერებთან. ის დიდ ბალონებს უშვებს ჰაერში და აძლევს მათ საბჭოთა ქვეყნების მიმართულებას. თვითეულს ასეთს ბალონში 2.000 მოწოდებაა, სადაც ამერიკისა და ევროპის მუშათა, კომბატანტთა და სხ. საზოგადოებანი ამცნობენ საბჭოთა ერებს, რომ ისინი იწყებენ მოქმედებასა და ბრძოლას მათ განსათავისუფლებლად ბოლშევიკური მონობისაგან. ამერიკის პრეზიდენტმა უკვე გამოითხოვა კრედიტები საბჭოთა ქვეყნებიდან გამოსულთა დასახმარებლად, რათა მათ შეეძლოთ მებრძოლი ნაწილების შექმნა და სხ. მუშაობის წარმოება. მსოფლიო დემოკრატიის მიერ დაწყებული ეს ბრძოლა დაემყარება როგორც კერძო, საზოგადოებრივ ძალებს, ისე სახელმწიფოებრივს, და ეს ხდება ორი ძველი კომინტერნის და ახალი კომინფორმის ყაიდაზედ. ფარულად და მალულად, არამედ სრულიად ახდილად. პრეზიდენტი ტრუმანი, სენატი, დიდი გენერალები და პარტიათა ლიდერები არ ერიდებიან ამ საქმეში ჩაბმას და მით უდიდესი პასუხის მგებლობის აღებას როგორც თავის ქვეყნის, ისე წამებულ საბჭოთა ერებისა და მთელი მსოფლიოს წინაშე.

მოსკოვმა, რასაკვირველია, მტკივნეულად განიცადა მსოფლიო ვითარების ასე შეტრიალება. რადიო და პრესა მრისხანედ ამეტყველდა. ბოლშევიკური ოფიციოზი „პრავდა“ შემდეგს სწერს: „ამას წინეთ ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის ერთი მუხლი ახდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ჰგულისხმობს კრედიტების გაღების მოსაწყობად დივერსიული აქტებისა, საბოტაჟებისა და დამოღვევი მოქმედებისა, საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში... ამერიკის მმართველი წრეები, ანალდებენ რა თავის აგრესიულ მეგობებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არ თაკილობენ ბრძოლის ყოვლად უმსგავსო მეთოდებს... იმათ თავის სამსახურში აჰყავთ ყოველი ჯურის მოღალატენი, პოლიტიკურად გადაგვარებულნი, რომელთაც არ მოეპოვებათ არც სამშობლო, არც ღირსება და არც ადამიანური სახიერება... ამ შპიონურ ბუდიდან იქმნება „ამერიკის ხმის“ კადრები და ავტორები ყოველგვარი სიყალბისა, და აგრეთვე ამფეთქებელნი და ტერორისტები, რომელთაც ამერიკელები გადასხამენ სახალხო დემოკრატიის ტერიტორიაზედ. ახალს კანონებში ახდილად არის აღნიშნული, რომ თანახმად ანგლო-ამერიკულ ბლოკის მიზნებისა, ამერიკის მთავრობა გაიღებს ფულს საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან გამოსულთა, თუ იქ მყოფთა დასახმარებლად, „რათა შეიქმნას ასეთი პირებისაგან სამხედრო რაზმები“ და სხ. ბოლშევიკური ტონი, როგორც ვხედავთ, უკვე ფრიად შეიცვალა. წინეთ რომ ყოველ ღვთის წყალობაზედ ღვთის რისხვით უპასუხებდენ, ეხლა უკვე ხშირად საყვედურობენ და სჩივიან.

ასეთის სიტყვიერ საყვედურებს მოჰყვა ერთი აქტი, რომელმაც მიიქცია უცხოეთის ყურადღება. ამ დიდ გარდატეხის წელს ბოლშევიკური რევოლიუციის დღესასწაულს მეთაურობა გაუწია ალა სტალინმა, მოლოტოვმა, თუ მალენკოვმა და სხ., როგორც ეს ხდებოდა მუდამ, არამედ მარშალ ბერიამ. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მან ხელმძღვანელა ამ უდიდეს ბოლშევიკურ ზეიმს. ამის მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ ომი დაიწყო ამ მარშლის ფრონტზედ, და მტრის რისხვა დაატყდება უწინარესად მის საშინაო და საგარეო ენკავედესა და კომინფორმის აპარატებს. სტალინის ავტორიტეტი ისედაც იმყოფებოდა ასეთს ზეიმებში, და უთუოდ თვით სტალინმა იანგარიშა, რომ შექმნილს ვითარებაში საჭიროა მზის სინათლეზედ გამოყვანა სწორედ იმ პირადებისა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის უმთავრეს ძალებს. ამერიკის ყოფილი ელჩი მოსკოვში, გენ. მედელ სმიტი ასე ახასიათებს ბერიას თავის მემუარებში: „როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად ბერია დიდათ განსხვავდება თავის წინამორბედთაგან — იეჟოვისა, იაგოდას და დეკრეინსკისაგან. ის მიეგავებოდა პროფესორს ან მეცნიერს ფართოს შუბლით, პირდაპირი გამოხედვით, წყნარი და თავდაჭერილი გამომეტყველებით“. უთუოდ მეტი განსხვავებაა მის ხელში თავმოყრილ ფუნქციებისა და ძალის მხრივ. ბერიას სამინისტრო დიდათ განსხვავდება წინანდელ ჩეკისა და გეპეუსაგან. ეს უზარმაზარი უწყებაა, რომელსაც უწყებრივი საზღვრებიც არ აქვს. ის შეჭრილია ყველა სხვა უწყებებში. მისი აგენტები სხვადან ჯარის ყველა ნაწილებში, სამხედრო, საგარეო, ფინანსიურ, განათლების, ტრანსპორტის და, საზოგადოთ, საბჭოების ყველა დაწესებულებათა ეჯრედებში. და ისინი არ არიან იქ მხოლოდ როგორც ინფორმატორები, თუ კონტროლიორები, არამედ აგრეთვე როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჯრედის ყველაზედ უფრო მტკიცე და მომქმედი ძალა. ეს უზარმაზარი, ცოცხალ ადამიანთა ქსელი, შეადგენს ბოლშევიკურ სახელმწიფოს ჩონჩხსა და, იმავე დროს, მის ნერვიულ სისტემას. თუ არ ვცდები ბერია სრულებით არ ჩნდება მარშლის ფორმაში, თუმცა ეს ხარისხი მას მუქთად არ აქვს მიღებული. ომი არ ყოფილა მოგებული, რომელიმე სარდლის სტრატეგიული ნიჭით, არამედ გაძლებით, იმით რომ ფრონტი და მისი ზურგი არ დაინგრა და არ დაიშალა იმ ხანად, როდესაც ჰიტლერის ზარბაზნები მოსკოვისა და პეტერბურგის კედლებს უმზერდენ ყუმბარებს, და გერმანული დივიზიები მიადგენ კავკასიონის მთაგრეხილს და ვოლგის ნაპირებს. ეს კი უმთავრესად ბერიას უწყების დამსახურება იყო. ომის დროს გამომჟღავნდა ყველა სხვა უწყებების დიადი ნაკლულოვანებანი. მხოლოდ ბერიას დაწესებულება აღმოჩნდა თავის სიმაღლეზედ. უთუოდ ამით აიხსნება, რომ ომის შემდეგ, როგორც სტალინის, ისე უთუოდ სხვა მეთაურთა თანხმობით, ბერიას უწყებას უზომოდ ზრდიან და ადიდებენ. ამ ჟამად მის ხელქვეითთა 80 დივიზია, და ეს არის წითელ არმიის საუკეთესო ნაწილი. ვინაიდან მასში თავმოყრილია ადეკვატურად უფრო საიმედო და პარტიულად დაგეშილი ახალგაზდობა. ორ მილიონამდე აბდილი და ფარული აგენტი ჰყავს მას საბჭოთა კავშირში, და უთუოდ ამოდენივე მთელი მსოფლიოს სივრცეზედ. უცხო ქვეყნებში მას, რასაკვირველია, მარტო კომუნისტები არ ჰყავს, არამედ ყველა მიმართულების, ტროცკისტებიდან დაწყებული უდიდეს მეშარჯვენებამდე, და მრავალი მეცნიერი, მრავალი კაპიტალისტი და კომერსანტი. ესენი წარმოადგენენ კომინფორმის ქსელს და მეხუთე კოლონებს. მის უწყებაში საკონცენტრაციო ბანაკები მრავალ მილიონ კატორღელი და მასვე მიაკუთვნეს უდიდესი ფარული საქმე ატომიური ენერგიის ძიებისა.

ამოდენა ძალა უთუოდ არასოდეს ყოფილა თავმოყრილი ერთი პირის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. მაგრამ ამ უზარმაზარ ძალას ასევე უზარმაზარი სენი აეკიდა და არ სცილდება. რაც დრო გადის უფრო და უფრო მატულობს ამ ძალისადმი მტრული განწყობილება ყველგან, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის სატელიტებში და, რასაკვირველია, ყველა სხვა ქვეყნებშიაც. მისი აგენტები ყველგან ისე გრძნობენ თავს, როგორც მტრის ბანაკი. შიგნით მთელი მოსახლეობა გადამტერებული და გარეთ კიდევ მთელი მსოფლიო ამხედრებული! და ყოველივე ეს სანამდის უნდა გაგრძელდეს? შესაძლებელია რომ ის შეიცვალოს მშვიდობიანი, წყნარი ცხოვრებით? თუ მისი ერთად - ერთი დასასრული ჩვენი წყობის დამხობა უნდა იქნეს და ჩვენი დაღუპვა? ასეთი იქვები შეიჭრენ და დაბინავდენ მათს გულში და, რასაკვირველია ასუსტებენ ამ ძალის მოქმედებას. მათ გასამგრებლად იყო მოწყობილი მარშალ ბერიას საზეიმო გამოსვლა.

ბერიამ ამ დარგშიც დიდი ნიჭი გამოიჩინა. მისი სიტყვა ნამდვილი ჩახრუხაული იყო, ბოლშევიზმის შესხმა და ქება - ხოტბა. მისი ბრალი არაა, თუ მისი სიტყვიდან დატოვებული შთაბეჭდილება მხოლოდ წუთიერი იქნებოდა. ბოლშევიკურ დაპირებათა ასრულება დაც-

ლილია, იქ აღარ მოიპოვება რა, გარდა ოდესღაც, დიდი, ხოლო შემდეგ გაკოტრებული და გაბახებული აღთქმებისა. ტროციკის მიხედვით ბერლია კვლავ კაპიტალისტურ ქვეყნების მძიმე კრიზისებითა და ამ სისტემის მოსაღლოდნელ კრახით აიმედებს თავის ამალას და მსოფლიო პროლეტარიატს. ხოლო საბჭოთა ქვეყნებში ხომ ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრეს მათ ეს კაპიტალიზმი, ხალხმა აქედან რა ხერი ნახა, გარდა მონობისა? ასეთის მაგალითის შემდეგ უთუოდ კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატსაც არ მიაჩნია დიდ ბედნიერებად ამ კაპიტალიზმის დამხობა. სოციალისტური და კომუნისტური პარტიების ლიდერები ხომ დიდებულად გრძნობენ თავს ამ კაპიტალიზმის უბეში, და რა ანგარიშია მათთვის კაპიტალისტებს საკუთარი ქონება წაართვან და თვითონ კი საკუთარი თავები დაკარგონ, როგორც ეს მოუვიდათ მათ ამხანაგებს ბოლშევიკურს სამყაროში? ბერლიამ თავის სიტყვა ასე დაამთავრა: „ამხანაგებო, ოქტომბრის რევოლიუციის 34 წლის თავზედ ჩვენმა ქვეყანამ დადგა ახალი ნაბიჯი კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზედ“. ასე მთელი საუკუნის განმავლობაში არწმუნებდენ სოციალისტები პროლეტარიატს — სწრაფი ნაბიჯით მივდივართ სოციალიზმისაკენო. ბოლშევიკებმა უკვე განახორციელეს, როგორც თვითონ ირწმუნებიან, ეს სოციალიზმი, მაგრამ მალე დაინახეს, რომ ის არავის მოსწონს. ბუდუ მდივანს უთქვამს, პარიზში თავის ძველ მეგობრების წრეში: სტალინმა გვითხრა — აბა ხომ დაჰყნოსეთ ეს სოციალიზმი—დიდი მყრალი რამ ყოფილაო. სტალინის სიტყვებია ეს, თუ თვითონ ბუდუ მდივანის, უეჭველია რომ ასე ჰფიქრობენ საბჭოთა ქვეყნების მცხოვრებნი, და არა ნახევარი თუ უმრავლესობა, არამედ ყველანი, სტალინიდან დაწყებული უკანასკნელ მუშამდე. ამის გამო ეხლა ბოლშევიკები ხალხს ასე აიმედებენ: — კომუნიზმისაკენ ვდგამთ ნაბიჯსო. ხოლო არ ეუბნებიან თუ რამდენი ნაბიჯია კიდევ გასალადგამი, და რატომ მხოლოდ რევოლიუციის დღესასწაულის დროს დგამენ ამ ნაბიჯს? 30 წლის განმავლობაში იაპონიის მიკადომ მთელი იმპერიის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება გარდაქმნა. ინგლისის, ამერიკის, გერმანიის და სხ. ქვეყნების კაპიტალისტებმა ასეთის მანძილზე თავის ქვეყნების ეკონომიკა სრულიად გარდაქმნეს. კომუნისტებმა კი მეექვსეთ ჩაიგდეს ხელში საბჭოთა ქვეყნების მთელი მიწა-წყალი ქარხნები, მადნები და ყოველგვარი სიმდიდრე. ნუ თუ 30 წელიწადი არ გახდა საკმარისი, რომ ეს მიწა კომუნისტურად დაამუშავონ, ქარხანა კიდევ კომუნისტურად აწარმოონ და მით ხალხს კომუნისტური ბედნიერება დაუმყარონ? ეს მათ 3-4 წლის განმავლობაშიდაც შეეძლოთ. ამის ექსპერიმენტები ბლომად გაეკეთეს მათ და მიანებეს თავი. ისინი დარწმუნდენ, რომ ეს მათი კომუნიზმიც ისეთივე მყრალი გამოვიდა, როგორც გამოდგა მათი სოციალიზმი. ასეთი დაპირებები, და ეს ეითომდა კომუნიზმისკენ ნაბიჯების გადადგმა ვერაფერით დაიმედებს ვერც საბჭოთა მანქანის ორას მილიონ ხრახნს და ვერც ბერლიას მენდლებით შემოსილ ხრახნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც სტალინმა დაავალა ბერიას ამ საზეიმო სიტყვის წარმოთქმა, ის უთუოდ შეეკითხებოდა თავის მასწავლებელს: რა დავპირდეთ ხალხს, რა ლოზუნგი გადავისროლოთო. თუ სტალინი ხუმრობის გუნებაზედ იყო, უთუოდ უპასუხებდა: რა უნდა დავპირდეთ ხალხს საბოლოოზედ უკეთესი? ჩვენ ეს დავპირდით მას და კიდევაც აუშენეთ. ეხლა თუ გინდა ყველა გაახარო, ამ ბოლშევიკური საბოლოოს დანგრევა უნდა დაპირდე. ბერია ამას რასაკვირველია, ვერ დაჰპირდა, ხოლო სხვები ჰპირდებიან და ამის გამო საბჭოთა მანქანის ყველა ხრახნებს უბირთ თუ ჩინოსანთ, ყურები მუდამ აცქვეტილი ექნებათ, რომ უცხოეთიდან ამის ამბავი გაიგონონ და თვალები კიდევ ცას ექნებათ მიბჯენილი, რომ იქ „ბალონის“ გამოჩენა ან გამოეპაროთ. ბოლშევიკური სხეული მთლიანად არის დასნეულებული ხორციელად და სულიერად. მარშალი ბერია უთუოდ ვერ დაპირდება სტალინს, რომ მისი უწყება კვლავ შეძლებს იმას, რაც მან უკანასკნელ ომის დროს გააკეთა.

1951 წელმა ჩვენს პატარა ქართულს ოჯახშიაც შეიტანა ზოგიერთი ცვლილება. უკანასკნელი ომის შემდეგ, რომ ქართული ემიგრაცია ხელ-ფეხ შებორკილი იყო და უმოქმედობაში ჩავარდნილი, ეს იცვლება რასამოდენიმედ. ქართული ემიგრაცია ამოქმედდა ზოგიერთ ქვეყნებში. „ამერიკის ხმამ“ დაიწყო ქართული რადიო-გადაცემები და 26 მაისს ჩრდილოეთ ამერიკის სტატსეკრეტარმა აჩესონმა თბილი თანაგრძნობისა და მტკიცე გამხნევების სიტყვით მიმართა ქართველებს. თანაგრძნობის სიტყვა ჩვენ მრავალი გვსმენია, მაგრამ ეს სიტყვა ისეთია, რომ ის ყოველ ქართველს ღრმად ჩასწვდება გულში. ქართველები მუდამ დიდათ აფასებდენ მეგობრულ მოქცევას, და ჩვენი ერისადმი გაწეული მეგობრობა მოსანანებლად არავის დარჩენია. უცხოელ გადაცემათა მოსმენის შესაძლებლობა მეტად მცირეა საბჭოთა ქვეყანაში. ამიტომ საჭიროა, რომ ეს სიტყვა რამოდენიმეჯერ კიდევ იქნეს გადაცემული.

უცხოეთში ამ ჟამად ბევრად მეტი ქართველობა იმყოფება, ვიდრე ეს ომამდე იყო. ახალ ძალთა შემატება, საამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნაკლებად ემჩნევა ქართულ საქმიანობას. ახალ ემიგრაციას მეტი ყურადღება ჰმართებს ჩვენს წინაშე გაწმლილ მოვლენებისადმი. ნუ ავიხ იფიქრებს, რომ ამ ზომად მნიშვნელოვან მოვლენათა დროს ცულზე ხელის დაკრეფა პატრიოტულ საქმედ ჩაითვლება ვინმეს. რასაკვირველია, თითო-ოროლას შეუძლიან ხვრელის გამონახვა და იქ მიმალვა, მაგრამ ქართველ ერს ეს არ შეუძლიან, და მისი ერთგულნი შვილნიც მასთან უნდა იყვენ ასეთს განსაცდელთა ჟამს.

ამ ორ მსოფლიო ძალის საბოლოოვო ანგარიშის გასწორება მოხდება მილიტარული ომის გზით, თუ ამ მეორე რევოლიუციონური. საშოქალაქო ომის ხაზით, ანუ კიდევ მათ ერთმანეთზედ გადაბმით, ხიფათი, რისკი და საშიშროება მრავალი იქნება, როგორც ერებისათვის, ისე მის ნაწილებისათვისაც. საყოველთაოდ საზრუნავია, რომ ამ ბრძოლებმა მთლად ველური ფორმები არ მიიღოს და რაც შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლები მსხვერპლი გამოიწვიოს. საბოლოოდ, ჩვენს ერსა და მის უცხოეთში მყოფ ნაწილს მეტად განსაზღვრული შესაძლებლობა გვაქვს ამ მიმართულებით. ხოლო ეს შესაძლებლობა სრულიად გაგვიქრება, უკეთუ ამ დიდ მოვლენათა გარეშე დადგომა მოვინდომეთ და სირაქლემასავით სილაში შევრგეთ თავი.

ჩვენ შევდივართ 30 წლის წინეთ დაწყებულ ბრძოლის გადამწყვეტ პერიოდში. საქართველოს უფლების აღდგენის შემდეგაც კარგა ხანს მძიმე და პასუხისგებელი შრომა მოგველის. თავის ბუნებით ეს არის პარტიული და ჯგუფური საქმე ეს განმათავისუფლებელი ბძოლა და შემდეგ ბოლშევიზმისაგან დალეწილ ცხოვრების დალაგება. ხოლო საჭიროა ძალთა შემოკრება, ჩვენ უნდა ჩვენი წრიდან დავიწყოთ. ყველა პარტიის წევრს თუ თანამგრძნობს, სადაც არ უნდა იყოს, ევალება დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ჩვენი პარტიის რომელიმე ორგანიზაციას. მათ ევალებათ აგრეთვე დაიახლოვონ ისეთი ქართველები, რომელნიც ჩვენსავით ზომიერი და ფართე მიდგომით აფასებენ ეროვნულ ცხოვრების საკითხებს. მოახლოვდა დრო, როდესაც შესაძლებელი გახდება 60 წლის წინედ მომხდარი ქართულ ეროვნულ ძალთა ხელახლათ გამთელება. დიდი ილიას მეთაურობით შექმნილ დიდი ეროვნული აღმშენებლობის ბანაკი რომ მიატოვეს სოციალისტური დოგმებით გატაცებულებმა, ისინი თუ არა, მათი მომდევნო თაობები ხომ მაინც ხედავენ, რომ ამას არავითარი სიკეთე მოუტანია ჩვენი ერისათვის.

არც ჩვენმა ცხოვრებამ მიიღო, და არც სხვათა — ღებულობს იმაზედ მეტ პოლიტიკურ თუ სოციალურ რადიკალიზმს, რომელიც ახასიათებდა მესამოციანთა თაობის მსოფლმხედველობას, და რაც წარმოადგენს ზომიერ დემოკრატიას, ერთნაირად პროგრესიულს და კონსერვატორულს.

ალ. ასათიანი.

სრულიად საქართველოს ქათალიკოზ-პატრიარქის კალისტრატეს გარდაცვალება

ბნელხარებით ვაუწყებთ უცხო ქვეყნებში მყოფ ქართველ საზოგადოებას, საქართველოში ამ უკანასკნელ დღეებში, სრულიად საქართ. ქათალიკოზ-პატრიარქის **კალისტრატეს** გარდაცვალებას. ნეტარხსენებელი 85 წელს გადაცილებული, ეკუთნოდა ჩვენი ავტოკეფალური ეკლესიის დიდებულებიან, დიდმცოდნე და დიდმორწმუნე ხელმძღვანელთა იმ წრეს, რომელთაგანაც თვითეული, ქრისტიანული სარწმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოებისა და იმავე დროსა ქართველი ერის სამლოცველოში ანთებული წმიდა კელაპტარივით მ ა თ ი სიყვარულის ცეცხლით, ცრემლთა დენით, ბოლომდე დაიწვა და ჩაქრა. ნეტარხსენებულს, ჩვენი ისტორიის მეტად მძიმე ეპოქაში არგუნა ღმერთმა ქართული ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურობა. ამ დიდი თანამდებობისათვის მისი უწმიდესობა, სრულიად მომზადებული იყო; ღვთისმეტყველობის ულრესად მცოდნე, დიდი ღრმა მორწმუნე და მართლმადიდებელი, ზნეობრივი სისპეტაკისა და სიწმინდის განმსახიერებელი, კეთილი და სათნო, ღრმა ეროვნულ შეგნების დიდი ქართველი, დიდი ისტორიული გამოცდილების მქონე, დიდი სულიერი ძლიერებითა, დაუშრეტელი ენერგიით და უტეხი ნებისყოფით ღვთისაგან დაჯილდოებული.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ის გრწყინვალედ, პირველი ნარისხით ამთავრებს სემინარიას. უმაღლესი ცოდნა მან მიიღო კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა ღვთისმეტყველების ნარისხით. ახალგაზრდა კალისტრატე ცინცაძე — ფრიად მომზადებული უბრუნდება მის სამშობლოს, სდგება მისი დროის საზოგადო მოღვაწეთა რიგებში. მონაწილეობას იღებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში; მისი ნაწერები სხვა და სხვა საკითხების შესახებ, იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. მას ირჩევენ მეცნიერული საზოგადოების მდივნად, და ქალაქის თვითმართველობის წევრად. 1905 წ. ის აღძრავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხს. ჯერ კიდევ 1893 წ. ის ინიშნება დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მღვდლად. 1903 წ. მას აბარებენ ქვაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიას. აქ ის მისი დაუღალავი შრომით აშენებს დიდებულ ტაძარს, რომელიც ცნობილია მისი საუცხოვო არქიტექტურითა და შინაგანი სიმდიდრით. 1925 წ. მას უკვე ქვრივს, ირჩევენ ეფისკოპოსად და ამავე წელში ის მიტროპოლიტის ნარისხს ღებულობს. 1932 წ. ის ხდება სრულიად საქართველოს ქათალიკოზ-პატრიარქად, დაპყრობილი საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურად. ამ მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე რჩება ის მისი შინაარსიანი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მადლიერი ერი მუხლმოყრილი დასტირის ამ ქართველს და ქრისტიანს, რომელიც დიდ ქართველთა წმიდა პანთეონს მიაბარეს სამარადისოდ.

ქართული ეროვნული ემიგრაციაც მის მშობელ ერთან-ერთად მუხლს იდრეკს და დასტირის ნეტარხსენებულის წმიდა საფლავს.

სტალინის სოციალიზმი

მართლაც, რომ პარადოქსულ ეპოქაში ვცხოვრობთ. დასავლეთ ევროპიდან გადახიზნული სოციალიზმის დოკტრინა „შესაძლებელი გახდა განხორციელებულიყო“ ეკონომიურად ჩამორჩენილ რუსეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აზიურ ხალხებში, მაშინ როდესაც მისმა სამშობლომ, საამისოდ უფრო მომწიფებულმა, მისგან პირი იბრუნა და უარისთქვა.

გასაოცარი ის არის, რომ სტალინის ამ ქვეყნიერი სამოთხეში, არც ისეთი ბედნიერება უნდა იყოს, როგორც ამას ანტიკომუნისტებს ბოლშევიკური პროპაგანდა, თორემ რით ავიხსნებდა ის მოვლენა, რომ რკინის სალტეებს მაინც ბლომად უსხლტებიან ხელიდან და აქეთ გამორბიან, ან და რა ღვთის წყალობაა საბჭოთა კავშირში, რომ მილიონობით ხალხი განმხოლოებული არიან ეკლიან მავთულებით შემოვლებულ კონცლაგერებში, განსაკუთრებულ როგორც საბჭოთა რეჟიმის გაფოფებული მტრები. შიგნით კი პარტიაში პერიოდულად სწარმოებს იდეოლოგიური (?) და სხვა ხასიათის წმენდა. მთელი წყება კომუნისტებისა ცხადდება სტალინის მოღალატეთ და ხალხის მავნებლად, შემდეგ უეცრად მაღალი სკენიდან სადღაც ჰქრებიან. ან რა მიზეზი უნდა იყოს, რომ „სოციალიზმის“ ეკონომიურ სტრუქტურაში ასე ადვილად ეხარებს, ათასგვარ ძალით და ტერორის სისასტიკით აღმოფხვრილი ბურჟუაზიული ყოფა-ცხოვრების შეხედულებანი.

უდაოდ, ერთიც გაუგებარი დარჩება თანამედროვეთათვის: მარქსის თანახმად ეკონომიური ფაქტორი იყო მთავარი და გადამწყვეტი ისტორიის განვითარების პროცესში, დანარჩენი იყო მისი ზედნაშენი. სტალინმა აქაც აბრუნდი გააკეთა: თავის დიკტატურის ზედნაშენათ აქცია ყველაფერი; ეკონომიურ ფაქტორს ჩამოართვა პრიმატი და თვით გახდა ისტორიის მამოძრავებელი ღერძი.

ბოლოს და ბოლოს რა შედეგებს მიაღწია სტალინმა თავის სოციალისტურ მშენებლობაში? განხორციელდა თუ არა მუშათა კლასის დიდი ხნის იდეალი? ამ კითხვაზე ერთსულოვანი აზრი არ სუფევს. თუ მოსკოვს დაუჯერებთ იქ უკვე დამყარდა სოციალიზმი, მოისპო კაპიტალიზმი, შეიქმნა ახალი უკლასო საზოგადოება, გაიარა სოციალისტური მშენებლობის ყველა საფეხურები და ეხლა მიექანება ნამდვილი კომუნიზმისაკენ.

მართალია ეს მტკიცება? ჩვენ კი გვგონია ასე: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუაში უზის დიდი ზღვარი“. ზოგი, რომელიც მომხრეა სოციალისტური მეურნეობის სისტემის მართლაც სჯერათ ბოლშევიკური პროპაგანდის და სტალინური სოციალიზმის მითის. დიდი უმრავლესობა ფიქრობს და მათ შორის ზოგიერთი კომუნისტიც, რომ იქ დამკვიდრდა სახელმწიფო კაპიტალიზმი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სოციალიზმთან. ინგლისის თანამედროვე დიდი ისტორიკოსი — არნოლდ ტოინბი, დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირი მიდის, როგორც ამერიკა მე-19 საუკ. ე. ი. ინდუსტრის განვითარების გზით, და გადადის კაპიტალისტურ წარმოების სისტემაზე. ის ნაკლებ მნიშვნელობას აკუთვნებს იმას, თუ ვინ არის ბატონ-პატრონი კაპიტალისა, სახელმწიფო თუ კერძო მწარმოებელი. მისათვის მთავარია თვით კაპიტალიზმის არსებობა.

მაშასადამე, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ცდების შემდეგ კვლავ აღმოცენდა კაპიტალიზმი, მართალია სახე შეცვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი და სოციალისტური ნიღაბ ჩამოფარებული. სხვანაირად ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ნამდვილათ იქ რომ სოციალიზმი იყოს, მაშინ ეს იქნებოდა მარქსიზმის სრული უარყოფა. მარქსი გულისხმობდა სოციალიზმის წინასწარ პირობათ ჯერ კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებას, რომლის წიაღში წარმოშობილი სამრეწველო პროლეტარიატი მას მიაჩნდა ერთ-ერთ ძალათ სოციალიზმის განსახორციელებლად. სტალინმა მარქსიზმი უკულმა შეატრიალა: ჯერ ძალდატანებით მოახვია სოციალიზმი სოფლის პრიმიტიულ მეურნეობის ქვეყანას, სადაც ბუშათა კლასი მცხოვრებთა სულ უმცირეს ნაწილს წარმოადგენდა; შემდეგ შეუდგა ამ ჩამოყალიბებულ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და მიიღო სახელმწიფო კაპიტალიზმის უფრო ცუდი და უკიდურესი, ვიდრე კერძო კაპიტალიზმის ფორმა.

რა განსხვავება არის კაპიტალიზმსა და სოციალიზმის შორის? მათი თეორეტიკოსების მიხედვით, კაპიტალისტური მეურნეობის დამახასიათებელია საქონლის წარმოება, მისი ბაზარზე გატანა და გასაღება. პირუკმო კომუნისტურ საზოგადოებაში არ მზადდება საქონელი გასასყიდლათ, არამედ იქმნება სხვა და სხვა პროდუქტები, რომლის ერთი-ერთმანეთზე გაცვლა არ ხდება, ე. ი. არ სწარმოებს ყიდვა-გაყიდვა. ის პირდაპირ მიდის საზოგადოებრივ საწყობებში და მას ხმარობს საზოგადოების წევრი საჭიროების მიხედვით.

როგორია მოხმარების ან განაწილების ფორმები?

ამის შესახებ ერთ დროს ბუხარინი (მაშინ სტალინის თეორიულ საკითხების მღალადებელი) საქვეყნოდ აცხადებდა: ყოველ საწარმოო ფორმას ახასიათებს განსაკუთრებული საშუალება პროდუქციის განაწილებისა; ვინაიდან საბჭოთა კავშირი გადადის სოციალურ წარმოების სისტემაზე, ამიტომ უნდა მოისპოს კაპიტალისტური აპარატი განაწილებისა, ე. ი. გაუქმდეს ვაჭრობა, ამასთანავე უნდა შესწყდეს ფულის ტრიალი, როგორც საქონლის ეკვივალენტის, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ერთბაშად, არამედ თანდათან, სოციალიზმის მშენებლობის წარმატებასთან დაკავშირებითო.

ეს უკვე დიდი ხნის ამბავია; მას შემდეგ ბევრი ხუთწლიანი გეგმა ინდუსტრიალიზაციისა სისრულეში იქმნა მოყვანილი. მიუხედავათ მტკიცებისა, რომ ისინი გადავიდენ წარმოების სოციალისტურ სისტემაზე, მათ არ შემოუღიათ სოციალისტური სისტემა განაწილებისა. არ მოუსპიათ არც ვაჭრობა და არც ფულის ტრიალი გაუუქმებიათ. მაშ საიდან მიიღეს მათ სოციალიზმი, როცა ჯერ კიდევ იქ ძალაშია კაპიტალიზმის დამახასიათებელი თვისებები. კაპიტალისტური წესი წარმოების, ვაჭრობა და ფულის ტრიალი. იქ მართლაც მოისპო კერძო კაპიტალიზმი და ის შესცვალა „სახელმწიფო კაპიტალიზმმ“.*) რომელსაც სტალინი უწოდებს სოციალიზმს; მაგრამ ამითი სრულებით არ შეცვლილა და არ გაუმჯობესებულა საერთოდ შრომის პირობები, არც მუშათა კლასის მდგომარეობა და არც მათი ნივთიერი კეთილდღეობა.

ისტორიას ახსოვს სტალინისებური სოციალიზმი: ეს იყო ფარაონებისა, ძველს ეგვიპტეში. ისინი ფლობდენ განუსაზღვრელად რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ცის ქვეშ არსებობდა: უწინარეს ყოვლისა ნილოსია ვრცელსა და ნოყიერ ჭალებს და უამრავ მონა-ფელახებს. ბიწა და ხალხი მათ სრულს საკუთრებას წარმოადგენდა. ფელახები ამუშავებდენ პურის ყანებს; მოწეული ხორბალი მიდიოდა ფარაონების ბეღლებში, ისინი საარსებოთ ღებულობდენ ცოტაოდენ ულუფას. მეურნეობას ჰქონდა კოლექტიური ხასიათი. უზენაესი გამგე იყო თვით ფარაონი, მისი გეგმით სრულდებოდა ყოველგვარი სამუშაო: დახვნა, დათესვა, მორწყვა, განაყოფიერება და აგრეთვე დიადი ალმშენებლობა. ფელახთა დიდი მასსა მუშაობდა, რომ უკვდავყოთ ფარაონთა სახელი: შენდებოდა განიერი სრა-სასახლეები, უმაღლესი და უთვალსაჩინო ტაძრები და კიდევ ფრანდიოზული ცათამდის აწვდილი პირამიდები.

სტალინმაც აირჩია ასეთი მონურ საფუძველზე აგებული „სოციალიზმი“. ისე როგორც ფარაონები, ისიც თავის სახელის უკვდავებისთვის ყველაფს სილარიბეში გათანასწორებულ მილიონ ფელახ-მუშებს და კოლმეურნეთ და მათი უწყალო ექსპლოატაციით აგებს გიგანტურ ქარხნებს, გაყავს უგრძესი არხები და აშენებს დიდ ელექტრო-სადგურებს, არა ხალხის საკეთილდღეოთ, არამედ მსოფლიოში სანხედრო ძლიერების მოსაპოებლათ და მის დასაპყრობად. ამ მიზნის მისაღწევათ გამოიგონა უცნაური ტოტალიტარული კონცეფცია, რომლის თანხმად ადამიანები აქცია უბრალო ხრახნებათ თავის საკუთარ დიკტატურის გასამტკიცებლად; ინდივიდუალობას მოკლებული პიროვნება გათანასწორებულია საწარმოო მანქანასთან, მეტი შრომის ნაყოფიერების გამოსაღებათ, მინებებული თანამედროვე ინდუსტრიალიზმის ტე-

*) ავტორი სამართლიანათ სახელმწიფო კაპიტალიზმს ფრჩხილებში სვამს, რადგან რა თქმა უნდა ბოლშევიკური ეკონომიური სისტემას არ შეიძლება „სახელმწიფო კაპიტალიზმი“ ვუწოდოთ. კაუცკი მას უწოდებს „სახელმწიფო მონობას“. მაგრამ რუსეთში მარქსისტულ-ბოლშევიკური რეჟიმი არც მონურია არც ბატონ-ყმური და არც კაპიტალისტური, არამედ ის შეიცავს ერთბაშათ სამივეს. მონურსა და ბატონყმურს ის ენათესაობა იმდენათ რამდენათაც იქ ყოველგვარი თავისუფლება აფსოლიუტურათაა აღკვეთილი და რაიმე თავისუფალი მოქმედება თუ აზროვნება და წერა ისჯება სიკვდილით. მუშა მიმაგრებულია შინაგან „პასპორტით“ თავის საცხოვრებელ ბინასა და სამუშაო ადგილს, როგორც წინათ მონები და ყმები. კაპიტალიზმს ენათესაობა იმდენათ, რამდენათაც იქ დაცულია მრავალი იურიდიული, ეკონომიური კატეგორიები რომელიც ახასიათებენ კაპიტალიზმს. რუსულ-მარქსისტულ სახელმწიფოს განკარგულებაშია, სუვერენულათ ეკ. პროცესთა ყველა მატერიალური ელემენტები და მასთან ერთად დიქტატორიალურად მთელი მისი მომქმედი მოსახლეობა. გაფიცვები აკრძალულია. სინდიკატები, რომელიც მუშათა კლასის დამცველი იარაღია, იქ ის მის მჩაგვრელ იარაღათაა ქცეული.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხნიკის მოთხოვნილებაზე. ეს სულ ერთია როგორი სახელი არ უნდა ეწოდოს საეკსპლოატაციო სისტემას: ტაილორიზმი თუ სტახანოველობა.

პიროვნულ თავისუფლების გარეშე კაცი ვერასოდეს არ იქნება კმაყოფილი, როგორ მატერიალურ პირობებშიაც არ უნდა სცხოვრობდეს. დაბეჩავებული და თავისუფლებას მოკლებული ხალხი ფერადოვანთარ სულიერ ღირებულებას ვერ ქმნის როცა ის მორალურად დაქვეითებულია და პირუტყულ მდგომარეობამდის არის დაყვანილი.

და თუ სტალინს მართლაც სურს ხალხის სიკეთე, უნდა გააუქმოს სახელმწიფო „სოციალიზმი“, უნდა დაშალოს ნაძალადები კოლმეურნეობა, აღადგინოს პიროვნების თავისუფლება, მისი პატივისცემა და კაცობრივი ღირსება, დაუბრუნოს ხალხს უზურპებული და მიტაცებული სუვერენიტეტი, მიანიჭოს პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებანი, მისცეს ყველას თავისუფალი შრომის საშუალება, რათა თავი დააღწიოს სახელმწიფოს ეკონომიურ მორჩილებისაგან. გზა გაუხსნას თავისუფალ დემოკრატიას, რომ ხალხი თვით გახდეს თავის-თავის ბატონ-პატრონი.

საეჭვოა, სტალინი ნება-ყოფლობით წავიდეს ამ გზით. ჩვენ მაინც ვეურჩევდით დიდი რუსთველის სიტყვებით: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“. — მიღწევიან, მოგიგონებენ. სხვა გვარად უსამართლობაზე აგებული რეჟიმი ისტორიისაგან განწირულია.

სევ. ჭირაქაძე.

(გაგრძელება შემდეგ)

la conscience de la composition.

„სიბრძნე“ სიცრუისა

ბოლშევიზმის მთავარი იარაღი სიცრუე არის. ქვეყანას ჰპირდებოდნენ თავისუფლებას და საცა კი ხელი მიუწვდათ, თუ სადმე ნიშანწყალი იყო თავისუფლებისა, — ნაგანითა და ცემბირით ალმოფხვრეს; „დემოკრატია, დემოკრატია!“, ჰყვირიან და არ გაგონილ ანტი-დემოკრატიული სისტემით სპობენ მის ჩანასახსა; „ერთა დამოუკიდებლობა“ — ვაჰკივიან მსოფლიოზე, „ძირს იმპერიალიზმი!“ და უალრეს იმპერიალიზმით ემუქრებიან კაცობრიობას: დამოუკიდებელ ერებს ხომ დამოუკიდებლად ჰყლაპავენ ვეშაპივითა.

გაუდით კიდეც, რადგან ძალა აქვთ, ფული და შერყეულ ჩვენს ეპოქაში, — პროპაგანდის ლდიდესი საშუალებანიც: ძალა — ალმართსა ხნავს, ფული თავდალმართებსა ფარცხავს, გამაყრუებელ პროპაგანდით ყველაფერი ჩაფარცხულია.

სულ სხვაა მდგომარეობა მენშევიკების. სანამ ძალა, ფული და პროპაგანდის საშუალება მათ ხელში იყო, — მართალია, საქართველოს მინიატურაში, მაგრამ ბოლშევიკების ხათრით და მიბაძვით, — მემამულეებს ხოცავდნენ და „უსაქმოებს“ — ტყის საჭრელად გზავნიდ-

ნენ; ბურჟუაზიას, — სახლებს, ქარხნებს, ავეჯს, ჭურჭელს და... შამპანიურსაც ართმევდნენ და ასახლებდნენ

რასაკვირველია, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მაშტაბი: სადრუსეთი, სადაც საქართველო, ჩვენში ყველაფერი ნაკლებ ხდებოდა, მაგრამ მორალი იგივე იყო, — რუსულ - მარქსისტული.

არც გასაკვირველია, — ბოლშევიკები და მენშევიკები ერთი და იგივე რუსულ - მარქსისტულ სკოლიდან არიან გამოსულნი და ეხლაც იმავე რუსულ - მარქსისტულ ძუძუსა სწოვენ.

მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. რუსეთმა საქართველო დაიპყრეს; ბოლშევიკებმა მენშევიკები შესცვალეს, ძალა, ფული, პროპაგანდის საშუალებანი — დაწვრილდნენ. დაიწყო ემიგრანტული ხანა. მართალია, მარქსის თეორიით „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას“, მაგრამ რაკი ეს თეორია ყალბია, მდგომარეობის შეცვლის მიუხედავად, მენშევიკების შეგნება არ შეიცვალა; მხოლოდ, რაკი ძალა, ფული, პროპაგანდის საშუალებანი შემოაკლდათ, მთავარი იარაღი — სიცრუე — უფრო გაამახვილეს. მაგალითები გნებავთ? ომის წინ, ომის დროსა და ომის შემდეგისა იმდენია, წიგნი ვერ ეყოფოდა, ამიტომ ვსთქვათ მარტო ნაომარზედ და ომის შემდეგ, უფრო ცხელ - ცხელზედ.

მოგეხსენებათ, ჭეშმარიტება ერთია, სიცრუე კი იმავე მოვლენაზე ათასი და ათასნაირი შეიძლება შესთხზა და ამ ხელოვნებაში ბადალი არა ჰყავთ არც ბოლშევიკებს, არც მენშევიკებს. აბა უყურეთ, 1946 წ., ბოლშევიკები ისევე ჰფლობდნენ საქართველოს, როგორც 1921 წელს დაიპყრეს, მაგრამ ეროვნული - გეგეჭკორი არწმუნებდნენ ემიგრაციას კრებებით, პროკლამაციით, გაზ. „ქართული საქმე“-ს № მე-5-ეში და სხ., — ბრძოლა ამაოა, ბოლშ. ძალა - უფლება განმტკიცდა, შეურიგდით, დაბრუნდითო საქართველოში. ხალხი და ამანათებიც გაუგზავნეს მოსკოველთა ურდოს, — თუმცა 25 წლის განმავლობაში არწმუნებდნენ მსოფლიოს დიამეტრალურად წინააღმდეგში.

ეროვნული და სოციალისტური ემიგრაციაც აუჯანყდა ამ... ამ... რბილი, რბილი სიტყვაც ვერ მოვიგონია... ვერაგობაზედ. ე. წ. მთავრობამ ნდობა დაჰკარგა არა მარტო ეროვნულ ემიგრაციაში, უცხოელთა და საკუთარ პარტიაშიაც (საცა „მთავრობის“ მომდევნო თაობანი ეროვნულ - პატრიოტულნი არიან).

ეროდანია - გეგეჭკორი თავს ვერ ჰყოფდნენ საზოგადოებაში. სამაგიეროდ თავი წამოჰყო მათმა „ოპოზიციამ“: 1949 წ. ნ. ცინცაძე, რ. არსენიძეს თავმჯდომარეობით (ნამინისტრალები) გეკითხავდა მოხსენებებს და ეგვიბეჭდავდნენ ბროშურებს, რომ რუსეთის დემოკრატიის გარშემო უნდა დაეირაზმოთ, რადგან ფედოტოვი... გამოურკვევლად, მაგრამ „თვითგამორკვევას“ ეკვირდებაო. ეს. ურატაძე წინ გადაუხტა და **რუსულ** სოც.-დემ. პარტიის (რომლის წევრი თითონაც იყო), „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ში დაბეჭდა უმეცანო წერილი: ქართველ ერს არასოდეს დამოუკიდებლობა არა სდომებიაო, და ამას წაუმძღვარა ხუთასათნახევრიანი მოხსენება: ქართველი ერი არასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს ერიც არა ყოფილა, სანამ მე და ჩვენი ამხანაგები არ შეეიყარენით ჯუმჯუმეთში და დემოკრატია გამოვაცხადეთო.

ამ აბნეულ-დაბნეულ „პოზიცია“-„ოპოზიციას“ ნამინისტრალებისას, ჩვენ მოუწოდეთ, — ქართული ეროვნული დროშის გარშემო შემოკრებულიყვნენ (1949 წ.) და არა **რუსეთის** მოსკოვის, ან რუსეთის ფედერალისტების გარშემო, როგორც მათ სურდათ.

და რა გამოვიდა? მთელი წლის განმავლობაში ვერ შეუთანხმდნენ **ქართველობას**, და როცა ეს ქართველობა ეროვნულ პოზიციებიდან ვერ გადაიყვანეს, **ხელდახელ** მოუწოდეს... რუს კერენსკის (ოქტომბერ-ნოემბერში, ალბად იმიტომ რომ რუსი ფედერალისტი გარდაიცვალა) და სიტყვით სავსე ცინცაძეს პატარა „ბიულეტენი“ № 1 შობეს, უკვე ქრისტეშობისთვეში.

1) „ვისბადენის“ 7 ნოემბრის დეკლარაციაში საქართველო **ნახსენებიც** არ არის; და თუმცა „ბიულეტენში“ იგი **სიტყვა**-**სიტყვით** ნათარგმნია რუსულ პრესიდან, ცინცაძე მოგვითხრობს, რომ **რუსული** პრესას „საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს“-ო.(?)

2) ამ დეკლარაციას ხელს აწერს 5 ნამდვილი (?) **რუსული** ორგანიზაცია და საგანგებოდ „ვისბადენისათვის“ შექმნილი **ოქტომბრამდის** არ არსებული, ყალბი 6 **არა-რუსული** ორგანიზაცია, რომელთაგან უყალბესი არის — „ქართული ეროვნული საბჭო“, რადგან ჯერ არც კი ჩამოყალიბებულა და მისი „ეკზეკუტივიც“ ამორჩეული იყო „დროებით, (თვე ნახევრით) ქართულ ემიგრაციის მთლიანი შეთანხმების მოსაგვარებლად“ და არა ლონ-ლეგინის ბანკეტზე და კერენსკის კონფერენციაზე დასასწრებლად.

3. ჩვენს რედაქციას ხელთა აქვს უკრაინული მთელი პრესისა, მთავრობისა და რადის **ოფიციალური დოკუმენტი**, თუ როგორ ჰგმობენ და არავითარი საერთო არა აქვთ „რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელ საბჭოსთან“ და ცინცაძეს „დამატებაში“ (ამასაც **ალბად** ყველას არ უგზავნიან) მოყვანილია ბაასი ბ-ნ საზონტიევთან, საიდანაც **ქართველებმა** უნდა მიიღონ შთაბეჭდილება, ვითომ ოფიციალური უკრაინა სწუხს, რომ ცინცაძის გვერდით არ იყო ვისბადენში.

4. ვისბადენში არჩეული „კომისია“ **პარიტეტულ** ნიადაგზე შესდგა: **სამი** რუსი და **თითო**: ქართველი, ადერბეიჯანელი და თურქესტანელი. ასეთი **პარიტეტი** ცინცაძეს გაუნათლებლობის სამინისტროშიაც არ არსებულა.

30 ნოემბერს მიუნხენში მოხდა ყრილობა ყველა არა-რუსთა ერებისა, უკრაინელ მთავრობის თავეჯდომარე დმიტრი ანდრიევსკის და რადის წევრის მიკოლა ლევიცკის თავმჯდომარეობით, — „ვისბადენის“ დაგმობით, ბ-ნ ა. კორეაისათან ერთად და ბ-ნ ნ. ცინცაძეს „ბიულეტენი“ თუ სხვა საგარეო საქმეებზე სკრუპულს ხმა-მაღლა, ამ ამბავზე სკრუპულს — დუმილით.

ხომ ხედავთ, რამდენი სიცრუე შეიძლება მოთავსდეს ერთ პაწია „ბიულეტენში № 1“ და შემდეგში, რამდენი ჩაუტევა კიდევ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითად კი: „ზდეს რუსკი დუხ, ზდეს რუსიუ პახნეტ“. საქართველო კი ართქმულია, როგორც „დალარიეტმ ტრემენს“-ში ხდება. თქვენ კი ბრძანებთ: სიცრუე, — სიბრძნე არ ყოფილა?!

რ. გაბაშვილი.



ჩ ვ ე ნ დ ა ი ს ი ნ ი

ჩვენ ვიცით, რომ ემიგრაციაში გამოდის სოც. - „დემოკრატები“-ს ორგანო „ჩვენი დროშა“, ეხლა მას შეემატა ახალი ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, რომელსაც აწერია „ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო“, მაგრამ განსხვავებას ამ ორ ორგანოთა შორის ჩვენ ვერ ვხედავთ, როგორც პირველი აგვრეთვე მეორეც წმინდა მენშევიკურია. უკანასკნელ ხანებში ამ პარტიას „მდგომარეობის“ კარნახის მიხედვით, მესამე თავიც გამოიაბეს „ეროვნული საბჭო“. ამ რიგად დღეს მენშევიკური პარტია უძლეველი და სამპიროვანია: მამა — მენშევიკური პარტია, ძე მისი — მთავრობა და სული წმიდა (?) — „ერ. საბჭო“. ვის ენდათ ამით თვალები აუხვიონ? შინაურებს თუ უცხოელებს? ასეთ პარადოქსებს შეიძლება (?) მხოლოდ ემიგრაციაში ჰქონდეს ადგილი. „ჩვენი დროშა“-მ და „საბჭოს“ ორგანომ მარჯვენივ და მარცხნივ გაგვიხსნა ცეცხლი. რატომ? რა მოხდა ისეთი, რომ ასეთი გაშმაგებით გვებრძვიან ეს პუბლიცისტები? მიზეზი ერთია: ქართულ ემიგრაციაში ჩამოყალიბდა საქართველოს ინტერესების დამცველი ეროვნული ცენტრი, რომელშიდაც შედიან ყველა პოლიტ. პარტიები და დაჯგუფებანი; ქართულ გაერთიანებულ მემარცხენე და მემარჯვენე ემიგრაციას გამოეყოს მენშევიკური პარტია და დღეს „საერთო საერუსეთო“ წისქვილზედ წყლის სხმით მთელ საქართველოსაც და თავის საკუთარი არა ქართული დროშა აიფრიალა.

იქ სადაც მენშევიკები არ ბატონობენ და თავის ვიწრო პარტიულ საქმეს არ აკეთებენ — მალულათ თუ აშკარათ — რასაც ერ უნდა დიდი ეროვნული საქმე კეთდებოდეს ის მათთვის მიუღებელია, უცხადებენ ბრძოლას და თავის ორგანოს ფურცლებზედ ქარბუქსა და კორიანტელს ატეხენენ. რატომ არ შედიან მენშევიკები ეროვნულ ცენტრში? მენშევიკები შევლენ მხოლოდ ისეთ ცენტრში, რომელიც „მთავრობას“ ემორჩილება ე. ი. მენშევიკურ პარტიას. ეროვნული ცენტრი კი არის უზენაესი სუვერენული ეროვნული ორგანო, რომელიც უნდა იყოს სრულ უფლებიანი პატრონი და ხელმძღვანელი ქართულ პოლიტიკისა და მოძრაობის. ასეთი დამოუკიდებელი ორგანო მენშევიკებისათვის არაა ხელსაყრელი; ამიტომ იმათმა მოინდომეს ეროვნული ცენტრი გამხდარიყო მენშევიკური პარტიის ფილიალათ და სათაშაშო იარაღათ. შეუთანხმებლობა მოხდა სწორეთ ამ პუნქტის გამო. ამ რიგათ გაერთიანების ერთ მთავარ ხელის შემშლელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის განუსაზღვრელი ამბიცია — ამბიცია დომინაციის, პირველობისა და უკადრისობის, რომელიც მენშევიკურ პარტიას თან ახ-

ლავს, და აი ჩვენი საზოგადოება უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე სდგას — პოლიტიკური ემიგრაცია ორად გაყოფილი. ერთი მხრივ ეროვნული ცენტრი, რომლის მიზანია უკომპრომისოთ და ინტეგრალურად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მეორეს მხრივ მოწინააღმდეგე ბანაკი, რომელმაც თავის მოღვაწეობა დაიწყო ნეგატიურათ ეროვნულ პოლიტიკის სფეროში.

ეროვნულ ცენტრის ორიენტაცია წმინდა ევროპიულია. ჩვენს ხსნასა და შველას ველით იმპერიალისტურ რუსეთის დაშლა და დანაწილებიდან. ჩვენი მოწინააღმდეგე ბანაკი დიდ იმედებს ამყარებს რუსეთის დემოკრატიაზედ. ჩვენ ეს გზა მიგვაჩნია ყალბ გზათ, რადგან რუსეთი დემოკრატიული არას დროს არ ყოფილა და ალბ იქნება. რუსის ხალხმა, რომ დემოკრატიულ საფეხურამდე მიაღწიოს მას კიდევ ბევრი ეტაპების გავლა სჭირდება.

მენშევიკური პარტია დღემდე ორ მთავარ ჯგუფათ იყო გაყოფილი, ნოე ჟორდანიას ჯგუფი და ცინცაძე-არსენიძის რუსოფილურ ტენდენციებით, რომელნიც რუსეთის არ არსებულ დემოკრატიას თავს დასტირიან და თავის ხსნასა და შველას იქედან მოელიან. მათ მახსოვრობაში კიდევ მკვეთრათაა ჩამჯდარი წარსულ „დიდების“ მოგონებანი, რომელსაც ი. წერეთელს, ე. გეგეჭკორს და კერენსკებს რუსეთში გამხეცებული ბრბო და მათ მიერ წაქეზებული „სოლდატჩინა“ ოვაციებით ეგებებოდენ და კერპებათ ჰყავდათ მიჩნეული. ამავე ბრბო და „სოლდატჩინამ“, რომელთაც ჩვენი მენშევიკები დემოკრატიათ ასაღებენ, დაამსხვრიეს ეს კერპები. ესაა ბრბოს კანონი. მაგრამ მაინც დამთვრალნი წარსულის მოგონებებით... შეიძლება რუსეთის დემოკრატიის დამტვირებლებმა კიდევ ერთხელ ირჩიონ ძველი გზა.

ურატაძე-ცინცაძე-არსენიძის ჯგუფის პოზიცია დაგმობილი იყო ემიგრაციის და თვით ჟორდანიას ჯგუფის მიერ, როგორც რუსოფილური, რომელთაც ჟორდანიას ორგანო დაუნდობელათ ებრძოდა. მაგრამ მოხდა „სასწაული“. პოზიცია და ოპოზიციას მოევლინა ბ-ნი დონ ლევინი, რომელმაც როგორც მაგნეტომ მიიზიდა ისინი. აქედან იწყება ტრიუმფი არსენიძე-ცინცაძე-ურატაძის რუსოფილურ ტენდენციების — ჟორდანია და მთელი პოზიცია ქედს იხრიან მათ წინაშე და პოზიცია და ოპოზიციის ჩემპიონი ნ. ცინცაძე თავის წამოწყებას ვისპადენით აგვირგვინებს. დანგრევისა და დაშლის წინ მდგომ რუსეთის იმპერიის ინტერესების დამცველ რუსობას, ასეთი კონფერენციები, ასეთი მანიფესტი სწორეთ დღეს სჭირდებათ, რომ მოკავშირეებს დაანახონ და უთხრან: „დღეს ბოლშევიკების მიერ (და არა რუსეთის) ჩაგრულ ერთა წარმომადგენლობა შეთანხმდა ბოლშევიკურ (და არა რუსეთის) უღელ ქვეშ დამონებულ ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლისათვის და დემოკრატიულ რეჟიმის დასამყარებლად“. ბოლოდ რეჟიმზეა ლაპარაკი და არა რუსეთის იმპერიალიზმზე. ეს ნიშნავს ბოლშევიკური რეჟიმის დაცემის შემდეგ დაპყრობილ ერებმა თავის ბედ-იღბალი კვლავ რუსეთის იმპერიალიზმის მადას მიანდონ. ასეთი შეთანხმების მიღება ნიშნავს თავის „პლებიციტებითა“ და

„თვითგამორკვევის უფლებით“ დაპყრობილ ერებმა წინასწარ ხელი აიღონ თავიანთ დამოუკიდებლობაზეც. ეს ნიშნავს, რომ ამით დაპყრობილ ერებმა მოკავშირეებს უარი უთხრან თავიანთ დამოუკიდებლობის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის დახმარების აღმოჩენაზე. ანდა რათ უნდა დაგვეხმაროთ ამ მემთხვევაში თუ „დემოკრატიული“ რუსეთი გვაცხონებს?

გადავავლოთ თვალი „მებრძოლი საქართველო“-ს პოზიციებს: „... სანამ ეს რეჟიმი არსებობს მოსკოვში, ჩვენს დანთავისუფლებაზე... ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ გვიდგას წინ, საკითხი ამ რეჟიმის დამბობის. ამის გვეკრდის ავლა — თავის მოტყუებაა“. ასეთი ყალბი პოზიციის აღება და ასეთნაირათ საკითხის დაყენება სხვების მოტყუებაა. ანა გვითხარით რუსეთში, რომელი რეჟიმი არ ეწინააღმდეგებოდა ერის უფლებათა განხორციელებას? მაგალითისათვის ავიღოთ რუსეთის უკანასკნელის წინა „დემოკრატიული“ რეჟიმი და მთავრობა, რომლის მონაწილენიც **თქვენ** ქართველი მენშევიკებიც იყავით — ეს რეჟიმი ხომ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო? დღეს რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმია და ამ რეჟიმმა არამც თუ დამოუკიდებლობა მიანიჭა, არამედ ეს დამოუკიდებლობა მოუსპო საქართველოს. ჩვენი თაობა სამი რეჟიმის მოწამე გახდა, სამივე რეჟიმი აღრჩობდა და აღრჩობს პატარა ერებს... ნუ თუ ეს საკმარისი არ არის თუნდაც შუბლმაგართათვის იმის შესაგნებლათ, რომ მარტო რეჟიმის დამბობა ჩვენ ვერაფერს მოგვცემს? ნუ თუ ამ ხალხისათვის ისტორია არ არსებობს და თუ არსებობს არაფერი უნდა ასწავლოს მასან? განა შეიძლება ერის ბედ-ილბალით ასეთი თამაში?

ჩვენ ვებრძვით **რუსულ იმპერიალიზმს** — რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები უნდა განთავისუფლდენ **უპირობოთ.** რუსეთის იმპერია უნდა დაიშალოს, რომელიც დღეს არა მარტო პატარა ერებს, არამედ მთელ მსოფლიოს მაჯლავჯუნასავით თავზე ადგომია და გასრესას უპირობს. ამიტომაა დღეს ევროპა — ანგლო-საქსონურ ბლოკს მიზნათ აქვს საზღვარი დაუდოს რუსულ იმპერიალიზმს. დღევანდელი იმპერიალისტური რუსეთის დამარცხება **ავტომატიურათ გამოიწვევს მისი რეჟიმის დაცემას** და დაშლას — დამონებულ ერების განთავისუფლებას — ესაა პირდაპირი ინტერესი რუსეთის მოწინააღმდეგე მსოფლიოსი და არა ის გზა, რომელსაც დღეს მენშევიკები ადგანან: რეჟიმის დამარცხება და რუსეთის „დემოკრატიასთან“ საერთო ენის გამონახვა. ეს ნიშნავს მათ მიერ ძველი პოზიციების დაბრუნებას, რომელსაც „დემოკრატიულ“ მთლიან რუსეთისაკენ მიეყავართ. მენშევიკების რუსებისადმი ტრფობა ახალი არაა, ის იწყება 17 წლის რევოლიუციამდე და გრძელდება ემიგრაციაშიც. 32 წელში „ბრძოლის ხმა“-ს მეცხრე ნომერში ბ-ნი ურატაძე სწერდა: „რუსეთში მოხდება კარგი რამ გაგვიახარებს, ცუდს კი კარგებს ჩაუკეტთ“... აი ამ „გაგვიახარე“ რუსეთისაკენ მიისწრაფიან დღესაც ისინი.

ბ-ნი ნ. ჟორდანია სწერს: „... ახლა დავა იმაზე მივიღოთ თუ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობა რუსეთთან ერთად საბჭოთა ტირანიის მოსპობაში — სრულიად უადგილო და ზედმეტია. რასაკვირველია უნდა მივიღოთ“. და ბ-ნი ნ. ჟორდანია „კარგი“ რუსების ძებნაშია: „... გამოსარკვევია საკითხი, რომელ რუსებთან, რომელ დაჯგუფებასთან და პარტიასთან“—ო. ჩვენ აქ ლოგიკას ვერ ვხედავთ. თუ კი თქვენი მიზანია რეჟიმის დამხობა და არა რუსული იმპერიალიზმის, რა შუაშია აქ რომელიმე „დაჯგუფების“ ან პარტიის სანთლით ძებნა, როდესაც მთელი დღევანდელი რუსული ემიგრაცია ამის მომხრეა და მოკავშირეც ავტომატიურად ნაპოვნი გყავთ. თუ რუსულ იმპერიალიზმს ებრძვით **ვერც ერთ** „კარგ“ რუსულ დაჯგუფებას და პარტიას ვერ იპოვით. თუ ატომიურ ბომბებს, ცეცხლსა და ტყვიას, რომელიც იძულებით — დღეს თუ ხვალ — რუსეთს უნდა დაუშინონ ღებულობთ როგორც მოკავშირეს და „უკბილო“ რუსებში კი არჩევანს ახდენთ? საღია ლოგიკა? იქნებ თქვენ ეძებთ ისეთ „მისაღებ დარაზმულობას“, რომელიც მომავალში რუსეთის სვეტ-ბედის გამგე იქნება? ასეთი არჩევანი ხომ თქვენზედ არაა დამოკიდებული არამედ თვით რუსის ხალხზედ და რა იცით ვინ მოეჭცევა იქ სათავეში? დასკვნა ერთია: არავითარი დადებითი პოლიტიკური მნიშვნელობა არა ააქვს უუფლებო ემიგრანტ რუსებთან რაიმე შეთანხმებას. უარყოფითი უსათუოთ კი, რადგან ამას შეუძლია გამოიწვიოს იმედები და უნდობლობა ქართულ ემიგრაციისადმი უცხოელებში და მეგობრთა წრეში.

„მებრძოლი საქართველო“ სწერს, რომ ერთა განთავისუფლების „უშუალო მიზანი უნდა იყოს ლიკვიდაცია რეჟიმის, როგორც პირველი და აუცილებელი პირობა“, ამ სიტყვათა თამაშის უკან სულ სხვა აზრები იმალება. რატომ მარტო რეჟიმის ლიკვიდაცია და არა რუსულ უძირო იმპერიალიზმის? ამაზედ არც ერთი სიტყვა არსადაა ნათქვამი. გამოდის, რომ „მებრძოლი საქ.“ და „საბჭოს“ მოღვაწეები მოსურნე არიან მხოლოდ რეჟიმის შეცვლის და „დემოკრატიულ“ რუსეთის ფარგლებში ერთა თვითგამორკვევის და პლებიციტის — ეს იგივე მთლიან რუსეთის ინტერესების დაცვა არაა? გვინა ამას არ ადასტურებს ბ-ნი ნ. ცინცაძის მოხსენების ადგილი?: „ვინც გაყინული ფორმულებით აზროვნობს მსგავსათ: ყვითელი - შავი - წითელი მათი აზრი ერთი და უცვლელია... მისი პერსპექტივა მუდამ შავი იქნება. ამით ბ-ნ ცინცაძეს იმის თქმა უნდა, რომ ყველა რუსული რეჟიმი ერთი არაა. დიახ... დიახ... ალბის განსხვავება... მაგრამ რუსეთის იმპერიის დანგრევას არც ერთი რეჟიმი არ მოინდომებს და ბ-ნ ცინცაძემ კარგად იცის, რომ ძალიან ხშირათ „ყვითელი - შავი და წითელის ალბი უცვლელი რჩება. ქამელეონი ფერს იცვლის... გველი ტყავს, მაგრამ ფული იგივე რჩება. ამიტომ ჩვენ **პირველ და აუცილებელ პირობათ და უახლოეს მიზნათ მიგვაჩნია რუსულ იმპერიალიზმის უშუალო ლიკვიდაცია, რომელიც ერთათ - ერთი გარანტიაა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა თავისუფლების.** ის ვინც ამ პოზიციაზედ არ სდგას და ულოყვევად ამ მიზნისათვის არ იბრძვის ის დაპყრობილ ერთა ინტეგრალურ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოზიციებს ებრძვის.

ყველაზედ საკვირველი ამ ახალ ორგანოში ბ-ნ ევ. გეგეჭკორის წერილია, რომელიც უსაფუძვლო ბრალდებებით და სიმართლის დამახინჯებებითაა სავსე. ეს ერას სწერს ბ-ნი გეგეჭკორი: „ისტორიისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ ოპოზიციამ ეს გათიშვა ეროვნული მთავრობის, საქართველოს სუვერენიტეტის ამ ერთათ ერთ ატრიბუტის ლიკვიდაციის ცდაზე მოახდინა“. სჯობდა ბ-ნ ევ. გეგეჭკორს ისტორიისათვის თავი დაენებებინა, რადგან ისტორია მათ სასარგებლოთ არაფერს იტყვის. რაც შეეხება „საქართველოს სუვერენიტეტის ერთათ ერთ ატრიბუტს“ მისი ლიკვიდაცია სრულიადაც არ შეადგენდა არჩეულ კომისიის საგანს და მაზედ ლაპარაკიც არ ყოფილა. მხოლოდ კომისიის უმრავლესობა მოითხოვდა ეროვნული ცენტრი ყოფილიყო **დამოუკიდებელი სუვერენული ორგანო,** და ყოველგვარ ზეგავლენისა და დამოკიდებულების „ატრიბუტთაგან“ თავისუფალი — სხვანაირათ ცენტრის არსებობას ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა.

რაც შეეხება იმ ადგილს სადაც ბ-ნი გეგეჭკორი სწერს რომ „ეროვნულ საბჭოს თავზედ ვესხმით იმიტომ, რომ მას ამერიკულ კომიტეტთან აქვს კავშირი, არც ესარის მართალი. პირიქით ჩვენ გირჩევთ პირდაპირი კავშირი დაიჭიროთ ამერიკულ კომიტეტის იმ მიმართულებასთან, რუსეთის დაშლის ხაზზედ, რომ დგანან. ჩვენ თავზედ იმიტომ გესხმით, რომ ამ კომიტეტთან, რუსებმა მიგიყვანათ, როგორც თავიანთი ვასალი. თავზედ იმიტომ გესხმით, რომ ასეთ სერიოზულ მომენტში, როდესაც რუსეთის იმპერიალიზმს დანგრევით ემუქრებიან, სწორეთ თქვენ ეს სახიფათო მომენტი აირჩიეთ რუსებთან საერთო ენის გამოსაძებნათ — რამაც შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს საქართველოს. თავზედ იმიტომ გესხმით, რომ ამ შეუფერებელ მომენტში დღეს პროპაგანდას ეწევით და საქართველოს რუსეთის არ არსებულ „დემოკრატიისაკენ“ მიექაჩებით. ჩვენ გვესმის თუ რას ნიშნავს ერის ინტერესებით ნაკარნახები კეთილ-მეზობლური განწყობილება სამხრეთთან და ჩრდილოეთთანაც. ბოლოდ კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულებას ჩვენ არას დროს არ შევწირავთ ჩვენს დამოუკიდებლობას.

დღეს ეროვნულ ცენტრის არსებობის დანიშნულება მთელი ასი პროცენტით მართლდება. ქართულ საზოგადოებისათვის დღეს ნათელი და აშკარა ხდება თუ რატომ ეროვნული ცენტრის დამაარსებელნი კატეგორიულათ მოითხოვდენ ეროვნულ ცენტრის სუვერენობას. დღეს ყველასათვის ცხადია თუ რატომ ებრძვის ჩვენი მოწინააღმდეგე ბანაკი ეროვნულ ცენტრს.

ვიქ. შუბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საკითხის შესახებ

საერთაშორისო მდგომარეობა დღითი დღე აშკარავებს, თავისუფალი ქვეყნების გაერთიანების და ძალიერების აუცილებლობას — მოსკოვიდან მომდინარე საშიშროებისაგან თავის დასაცავად. მთელი თავისუფალი მსოფლიო ემზადება კრემლის აგრესიული-ექსპანსიური პოლიტიკის შესაჩერებლად. დღითი დღე იზრდება ინტერესი რკინის ფარდის იქით არსებულ მდგომარეობაზე. აქტიური ხდება საბჭოთა რუსეთის მიერ ძალით შექმნილ კავშირში მყოფავალ ერების საკითხი. აქტუალური ხდება თვით რუსეთის მომავალი, ბედი. ისმება კითხვა: შესრულდება თუ არა რუსი ხალხის ოცნება დიდი, განუყოფელი და უძლეველი რუსეთის შექმნისა, თუ რუსეთის მიერ ძალით დაპყრობილი ერები მიიღებენ თავისუფლებას და შესძლებენ არსებობას სამართლიანობის და საერთაშორისო კანონიერების საფუძველზე?

ამ საკითხების ირგვლივ ბევრი რამ დაიწერა უკანასკნელ ხანებში. არის იმის ნიშნები, რომ მსოფლიომ დაინახა რუსეთის ტრადიციული პოლიტიკის ხაზი და სტალინის დღევანდელ საქმიანობას ძველი რუსეთის პოლიტიკას ადარებს. ამის შესახებაც ბევრი ითქვა საბჭოთა კავშირში შემავალ დაპყრობილ ერების წარმომადგენელთა მიერ. უკრაინელები, ბელორუსები, ლატვიელები, ესტონელები, ჩრდილოეთ-კავკასიელები, თურქმენები და სხვანი, ერთხმად მოითხოვენ დაკარგული თავისუფლების აღდგენას. რუსული პოლიტიკური ემიგრაცია, ბატონ კერენსკის ირგვლივ გაერთიანებული, კი ერთა თვითგამორკვევაზე და პლებისციტებზე თანხმდება.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ორიოდე სიტყვით ქართულ საკითხსაც შევეხოთ.

რომ საქართველო ერთ-ერთი უძველესი კულტურული ქვეყანათაგანია, დიდათ მნიშვნელოვანი თავისი გეოგრაფიული, ეკონომიური, სტრატეგიული და პოლიტიკური მდგომარეობით, ყოველი განათლებული ადამიანისათვის ცნობილია. რომ საქართველო უძველესი დროიდან შეუდრეკლად იცავდა თავის ქრისტიანულ კულტურას და დამოუკიდებლობას ყოველგვარი დამპყრობელებისაგან, ესეც ყველასათვის ცნობილია. რომ 1801 წელს, საქართველო მეფის რუსეთის მიერ 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ ძალით იყო დაპყრობილი და რუსეთის გუბერნიათ გადაქცეული, ესეც ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ხელთა გვაქვს ისტორიული საბუთები, რომ რუსეთის მიზანს საქართველოს რუსიფიკაცია წარმოადგენდა. რუსეთს სურდა საქართველოს და მთელი კავკასიის დაპყრობით და დამონებით, ახლო აღმოსავლეთისაკენ გზა გაეკაფა შემდეგი აგრესიის საწარმოებლად. ქართველმა ხალხმა უდიდესი წინააღმდეგობა გაუწია რუსს დამპყრობელებს. 1801 წლიდან 1917 წლამდე 28 შეიარაღებული აჯანყება მოხდა დაკარგული თავისუფლების აღსადგენათ. რუსების მიერ კავკასიის დაპყრობა თითქმის ასი წელიწადი გაგრძელდა — და არასოდეს არ შეწყვეტილა დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვა.

1917 წელს რუსეთის რევოლუციის დროს ინგრეოდა რა თვითმპყრობელური მეფის რუსეთი, დაპყრობილი ერები სარგებლობენ შემთხვევით და აცხადებენ დამოუკიდებლობას. 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო. საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იაპონიამ, იტალიამ, ბელგიამ და სხვა მრავალმა სახელმწიფომ დე-ფაქტო და დე-იურე. დამოუკიდებლობა იცნო აგრეთვე მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ 1921 წლის 27 იანვარს. 1920 წლის 7 მაის საქართველოს დამოუკიდებლობას სცნობს საბჭოთა რუსეთი და მასთან სდებს მეგობრობის და თავდაუსხმელობის პაქტს. 1921 წელს, ძალების მოკრეფისთანავე საბჭოთა რუსეთი თავს ესხმის საქართველოს და სისხლიანი ბრძოლების შემდეგ იპყრობს მას. ამგვარად ორჯერ საქართველოს ისტორიაში, რუსეთი არღვევს დადებულ ხელშეკრულებას (1783 და 1920 წლებში) და სპობს საქართველოს დამოუკიდებლობას. საბჭოთა რუსეთის აგრესიას ქართველმა ხალხმა სამი დიდი აჯანყებით უპასუხა. მთელ მსოფლიოს კარგათ ახსოვს ქართველების მიერ გაღებული სისხლი დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

ამიტომ იყო რომ შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ჩეესონმა ქართველ ხალხს უთხრა: „ჩვენ თაყვანს გცემთ ასეთი შეუდრეკელობისათვის“-ო.

აქედან გამომდინარე შეიძლება მომდევნო დასკვნები გამოვიტანოთ:

1. საქართველოს საკითხი საერთაშორისოა და მასზე ვრცელდება იგივე იურიდიული უფლებები, როგორიც ყველა სხვა დაპყრობილ ერებზე.
2. ქართველობა კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მზად არის ითანამშრომლოს ყველა სხვა ერებთან თანასწორობის საფუძველზე. თანამშრომლობის უზენაესი პრინციპია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა.
3. საქართველოს „თვითგამოსარკვევი“ არაფერი არ აქვს. საქართველოს 20 საუკუნიანმა ისტორიამ უკვე დიდი ხანია გამოარკვია საქართველოს ღირსეული ადგილი ყველა სხვა თავისუფლების მოყვარე ერთა შორის.
4. საბოლოოდ საქართველოს ბედი ბატონ კონფერენციებზე არ არის დამოკიდებული, არამედ ივი გადაიჭრება საერთაშორისო სამართლიანობის საფუძველზე.
5. დრო-ა შეიგნოს ყველამ, რომ არ არსებობს არავითარი „რუსეთის ხალხები“, არამედ არიან რუსები და მათ მიერ დაპყრობილი ქართველები, სომხები, უკრაინელები, ჩრდილო კავკასიელები, ლატვიელები და სხვანი.
6. დროა შეიგნოს ყველამ, რომ თავისი თავი უნდა გამოირკვიოს იმ ერმა, რომელიც დიდი ხანია სხვების დაპყრობით და დამონებით ცდილობს მსოფლიოში ძალით გაბატონებას.

დ. ჩ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირი და რუსეთი

დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის გასაგებად და მომავლის წარმოსადგენათ, აუცილებელია საბჭოთა კავშირის და კერძოთ რუსეთის საკითხის სწორი შეფასება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავისუფალმა მსოფლიომ გაიმარჯვოს აღმოსავლეთის ბარბაროსობასთან ბრძოლაში. დღეს თავისუფლებას მხოლოდ ერთი ძალა უპირდაპირდება — კრემლის უხეში, აგრესიული კომუნიზმი.. ეს აზრი საბედნიეროთ საყოველთაოდ მიღებულია და ამიტომ მთელი თავისუფალი მსოფლიო ერთიანდება კრემლის აგრესიულ პოლიტიკასთან საბრძოლველად. ამ დაპირისპირებაში აუცილებელია გათვალისწინება საბჭოთა კავშირის ნამდვილი რაობისა. საჭიროა ვიცოდეთ თუ რატომ წარმოადგენს კრემლი თავისუფლებისათვის საშიშ ძალას.

უპირველესად ყოვლისა, ხაზ გასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფოს სახელი, ნაძალადევი მცნებაა. 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში მოხდა და რუსი ბოლშევიკების წითელი ტერორის საშუალებით დაარსდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. დღეს საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები, იმ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ და არავითარი სურვილი არ ჰქონდათ რუსეთს შეერთებოდნენ. საბჭოთა რუსეთმა განდიდების და გაძლიერების მიზნით, წინასწარ მომზადებული გეგმით, უხეში ძალით დაიპყრო მეზობელი, ეროვნულად დამოუკიდებელი სახელმწიფოები: 1918 წელში უკრაინა, 1920 სომხეთი და აღერბეიჯანი, 1921 წელს საქართველო და კიდევ უფრო გვიან მრავალი სხვა.

1922 წლის დეკემბერში, ე. ი. რუსეთის რევოლიუციის მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი დაპყრობილი ქვეყნების ე. წ. საბჭოთა კავშირში გაერთიანება. კიდევ უფრო გვიან ამ ნაძალადევ კავშირში შეიყვანეს თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა, ბალკარელების და ბალტიის ქვეყნები. ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა, შანჯურია და კურილების კუნძულები. მეორე მსოფლიო ომის შედეგათ ბოლშევიკებმა საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 22,5 მილიონი ადამიანით გაზარდეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა ძალით შექმნა ე. წ. სატელიტი ქვეყნები. პოლონეთის კომუნისტები დღეს უკვე სურვილს აცხადებენ საბჭ. კავშირის წევრობაზედ. ხვალ, ეს შესაძლოა სინამდვილეთ იქცეს. ზეგ რუმინია და ჩეხოსლოვაკია გამოთქვამს იმავე სურვილს. დაპყრობილ ქვეყნებში საკმაოდ მოიპოვება რუსეთის აგენტები და კრემლის ნაძარცვი ოქროს, რომ ეს განზრახვა სასრულეში მოიყვანონ. თუ ყოველივე ასე გაგრძელდა, რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში 50 ან მეტი რესპუბლიკა იქნება, დანარჩენი მსოფლიო კი დროთა ვითარებაში დაივიწყებს კრემლის ძალადობას, როგორც დღეს დავიწყებულია თუ როგორ დაიპყრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთმა საქართველო ან რომელიმე სხვა ქვეყანა და მათაც მის ბუნებრივ ნაწილად წარმოიდგენს.

ე. წ. საბჭოთა კავშირი, როგორც დავინახეთ ნაძალადევი მცნებაა. ასევე ნაძალადევია „რუსეთის ხალხების“ არსებობა. საბჭოთა კავშირში არსებობს მხოლოდ რუსები და მათ მიერ დაპყრობილი ქართველები, სომხები, ესტონელები და სხვანი.

საბჭოთა რუსეთის ექსპანსიური - აგრესიული მისწრაფება, ფოტოგრაფიული განმეორებაა თვითმპყრობელური რუსეთის პოლიტიკისა. ხოლო კრემლის დღევანდელი მოქმედება ამ ტრადიციის გაგრძელებაა. განა დიდი, განუყოფელი და უძლეველი რუსეთის შექმნის მიზნით არ დაიპყრო ძველმა რუსეთმა ბალტიის ქვეყნები, პოლონეთი, საქართველო და სხვა მრავალი? განა მეფის რუსეთიც სისხლის მორევში არ ალრჩობდა ყოველივეს, რაც ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ იყო მიმართული? ხომ წინადაც დაწერწოდენ რუსი აგენტები სხვა ქვეყნებში, პანსლავური იდეების საქადაგებლად.

ცარისტული რუსეთის მიერ დაპყრობილმა ერებმა ისარგებლეს პირველი მსოფლიო ომით. აღადგინეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ეროვნულ ტრადიციულ გზას დაუბრუნდნენ.

მაგრამ, 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ, ძალის მოკრეფისთანავე, საბჭოთა რუსეთმა განიმეორა ძველი რუსეთის ტრადიცია და ისევ ძალით დაიპყრო მეზობელი სახელმწიფოები. დღეს კიდევ უფრო გაძლიერებული რუსეთი მთელი მსოფლიოს დაპყრობას ლამობს.

საბჭოთა კავშირის იმპერიალისტური ზრახვების შესაბამისად აუცილებელია ვიცოდეთ, რომ კრემლის სისტემა სწორედ მის მიერ ძალადობაზე აგებული კავშირი წარმოადგენს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები პირველი შესაძლებლობისთანავე შეეცდებიან აღადგინონ დაკარგული ეროვნული თავისუფლება.

კრემლის ყველაზე უფრო სუსტი ადგილი, სწორედ მის მიერ დაპყრობილი ერებია, რომლებიც ხან აქტიურად და ხან პასიურად, მაგრამ მაინც ამყოლავნებენ რუსეთისადმი შეუერიგებლობას და განთავისუფლებისათვის ლტოლვას.

ამერიკელი.



უბადრუკი თავდაცვა

„ივერია“-ს მესამე ნომერში, ბ-ნ ნ. ჟორდანიას და მის ახლო თანამშრომლებს, ეროვნულ - ძალთა პოლიტიკური მთლიანობის, ერთხელ კიდევ ჩაშლა უსაყვედურეთ; ქართული საზოგადოების წინაშე გამოვიტანეთ მოკლეთ, ეროვნულ ძალთა გაერთიანებისათვის წარმოებული მუშაობა; აღვნიშნეთ ჩვენი და მათი პოზიციები და საზოგადოებას მიუთითეთ ჩვენს მოწინააღმდეგეთა მიერ უადგილოთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდშეუვლელათ დაყენებული საკითხისადმი, რომელზედაც დაიმსხვრა ერთობისაკენ მიმართული ჩვენი ცდები. საზოგადოებამ ნათლათ დაინახა დამნაშავეს, და გაიგო ჩვენი საყვედური წერილი და სამართლიანი. ჩვენთან ერთად ქართული საზოგადოება მოელოდა ამსნა-განმარტებას მათგან და მათი პოზიციის გამართლების ცდებს.

ნაცვლად ამისა, ბ-ნ ნ. ჟორდანიამ და მისმა თანამშრომლებმა „ჩვენი დროშა“-ს მეცხრე ნომერში, ქართული ჟურნალ-წერილობისათვის უჩვეულო ფორმითა და ტონით მათის აზრით, გვიპასუხეს — დაგვლანძღეს, დაგვთათხეს, პატარა კაცუნები გვიწოდეს; ხშირათ ხმარებით გაცვეთილი მენშევიკური ფირფიტა დაატრიალეს: რეაქციონერებათ, შავ-რაზმელებათ დაგვსახეს. მათის აზრით, თითქოს ჩვენ გამოვყოფილვართ ემიგრაციას, საქართველოს, სავსებით ჩამოვშორებივართ თანამედროვე ქართველ ერს და ჩვენი პარტიული დროშა აგვეფრიალებიოს, პარტიული ინტერესებისა და პარტიული რეჟიმის დასამყარებლათ. მოსკოვის სამსახურშიდაც გადაგვრიცხეს,, დაგვამცირეს, დაგვაპატარავეს და საშინაო ფრონტის დამშლელ-დამგრეველებათაც კი მიგვიჩნიეს. ყველა ამ სახეობათა დასაფარავათ ჩვენ თურმე ვეებერძვითა სოც.-დემოკრატიას.

„ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალითო“. სწორეთ შინაური პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ასეთი მეთოდით ანგარიშის გასწორება უსაყვედურეთ ჩვენ წინა წერილში ბ. ნ. ჟორდანიას. მის მიერ ჩვენდამი ასეთი ულირსი ტონით გაცემული პასუხით კიდევ უფრო გააძლიერა და მისთვის კლასიკურათ აქცია ეს მეთოდი. ჩვენ კიდევ მეტის სიძლიერით უსაყვედურებთ ამ მეთოდის ავტორს და დავსძენთ, რომ ასეთი მეთოდის ბრალია ქართული ემიგრაციის დაშლა-დასუსტება. რისთვისაც სრულ პასუხისმგებლობას ის ატარებს.

ადამიანი, რომელსაც დღემდე ვერ გაურჩევია, ვერ განუყრია მისი პარტიის თავმჯდომარეობისა და მთავრობის თავმჯდომარეობის ფუნქციები; ადამიანი, რომელმაც ამ რამოდენიმე წლის წინ თითქმის ფარულად გამოცემულ პროკლამაციაში ქართულ ემიგრაციას ეროვნული დროშის დაკეცვა-შენახვა ურჩია და მისი პარტიის ოფიციალური ორგანოს გამოცემა „ჩვენი დროშა“-ს სახელით განაახლა, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას სწამებს პარტიული დროშის აფრიალებას.

კაცი, რომელიც ორი წლის მანძილზე მოსკოვის პატარა აგენტებთან საქმიან მოლაპარაკება-კავშირში იყო, რომლის შედეგადაც ქართულ-ეროვნული ემიგრაციას საბჭოთა საქართველოში დაბრუნება ურჩია და ერთი ნაწილი კიდეც დააბრუნა, ჩვენ გვრიცხავს მოსკოვის სამსახურში.

თანამედროვე კულტურულ მსოფლიოში რეაქციონურ მოვლენათ მარქსიზმია მიჩნეული. მთელი მსოფლიო ირაზმება მორალურათ თუ ფიზიკურათ ამ წითელი რეაქციისაგან თავდაცვის მიზნით. „კომუნისტური მანიფესტის“ „ჩვენი დროშა“-ს ფურცლებზედ გამომზეურე-

ბელსა და მჭადაგებელს, რა ზნეობრივი უფლება აქვს ეროვნულ-დემოკრატიულსა და ლიბერალურს პარტიას რეაქციონური უწოდოს?

კაცი, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინ, მის მიერ ეროვნული ინტერესებისა და ლირსებისათვის შეუფერებელი პოლიტიკური ხაზის აღებისათვის, ქართულ ემიგრაციაში სრულ იზოლიაციაში მოხვდა, რომლის თანამოაზრეთა წრე, მის საკუთარ პარტიაშიც კი მეტად მცირედ შემოიხაზა, რა უფლებით სწერს „ივერიას“-ს თანამშრომლებზედ „ისინი გამოეყვნენ ემიგრაციას, საქმეებით ჩამოშორდნენ თანამედროვე ქართველ ერს“-ო. „პარიზის ქართველობამ ისინი თავიდან მოიცილა, დაგმო მათი მეთაურობა და დაიცვა თვისი პოლიტიკური წარსული და აწმყო“-ვო. ეს ფაქტი მართალია, მაგრამ ამის ობიექტი სწორედ „ჩვენი დროშა“-ს მეთაურები ბრძანდებოდნენ. ქართულ ემიგრაციას ისეც კი ახსოვს, რომ სწორედ იმ სამწუხარო პოლიტიკურ ეპოქაში, წმიდა ნინოს სახელობაზე გამართულ საზეიმო შეკრებულობაზე ბ. ნ. ჟორდანიას სათანადო მოხსენებას მხოლოდ 37 ადამიანი დაესწრო, და მათ დიდს უმრავლესობას დედაკაცები წარმოადგენდნენ. ასეთი მდგომარეობის დავიწყება და ამავე დროს ემიგრაციის მიერ სხვების თავიდან მოცილებაზე ლაპარაკი, მეტი რომ არ ვსთქვათ აბირებულია.

სამშობლოს მტერი — რუსი და მისი მეორე სახეობა - ბოლშევიზმი ჩვენ არაოდეს დაგვიწყებია. მას ჩვენ ვებრძვით სიტყვითა თუ კალმით, იარაღითა და ისტორიაში უკვე ჩაწერილი სიმხნეებით. მასთან პოლიტიკური თუ იდეიური დაზავება - დამეგობრება ჩვენ არასოდეს ვარ გვიცდია. მარქსიზმის მიმართ თუ ჩვენი კრიტიკული შეხედულებანი გამოგვითქვამს, როცა ამაზედ მოწინააღმდეგეს გამოუწვევივართ, ეს არ უნდა ჩაგვითვალონ მომაკვდინებელ ცოდვათ. ჩვენ საქ. სოც.-დემოკრატიას კი არ ვებრძვით, არამედ მის მეთაურსა და ჩვენი რესპუბლიკის ყოფილ მეთაურს, როცა ის კომუნისტურ მანიფესტს იზიარებს და საქართველოს მომავალი სახელმწიფოსათვის მისაღებ ფორმად მიაჩნია. „მარქსიზმის მთელი დოქტრინა ეხება მხოლოთ სამრეწველო ერს და არავითარი კავშირი არ აქვს არა სამრეწველო აგრარულ ერთან“-ო ბრძანებს ბ. ნ. ჟორდანია. ვეთანხმებით. საქართველოც ხომ აგრარიული ქვეყანა იყო და არის. მაშ რათ გახადეს ეს აგრარიული ქვეყანა მარქსიზმის საცდელ მინდვრად, რა უფლებით მეთაურობდა, ჩვენს ერს მარქსისტული სოც.-დემ. პარტია და ან რათ უპირებენ მას, მომავალშიაც მისდამი შეუფერებელი მარქსიზმის დროშით მეთაურობასა და ხელმძღვანელობას.

კულტურულ და დემოკრატიულ სახელმწიფოებში, თვით ერსებულ ხელისუფლებას, მთავრობასა თუ პრეზიდენტს ყოველი მოქალაქე თავისუფლად აკრიტიკებს, სცინობს თუ აქებს. ამისათვის მას დამნაშავის სკამზედ არავინ სვამს, სახელმწიფოსა და ერის მოღალატედ არ აცხადებენ. ჩვენ კი 30 წლის წინ ყოფილი მთავრობის შესახებაც აკრძალული გვაქვს ჩვენი თავისუფალი აზრის გამოთქმა, ისე რომ „ეროვნული ღირსება“ არ ავვხადონ და სამშობლოისა და ერის მტრებს არ დაგვიკავშირონ. ჩვენი სამშობლო და ერი მარქსიზმის ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი შტოის - ბოლშევიზმის დიქტატურას განიცდის, ქართული ეროვნული ემიგრაცია კი მარქსიზმის მეორე შტოის - მენშევიზმისას. აი ის სინამდვილე, რომელიც ლოგიკის კანონით გვაიძულებს ვებრძოლო ერთსა და იმავე დროს ამ ორ სხვა და სხვა მაგრამ მონათესავე დიქტატურას.

ჩვენი ჟურნალის მესამე ნომერში და არც წინანდელ ჩვენს გამოცემებში, ჩვენ არ გვიკადრებია გვეთქვა, „ნაციონალური მთავრობა საქართველოს ინტერესებით ვაჭრობსო“. მაშინ ჯერ კიდევ შორს ვიყავით ქართული ემიგრაციის იმ პოლიტიკური ეპოქიდან, რომელსაც „დონ - ლევინისა და კერენსკის დროებითი ეპოქა“ ეწოდება. წინასწარმეტყველები არ ვიყავით. „ნაციონალური მთავრობა საქართველოს ინტერესებით არ ვაჭრობს“ო; არ ვიცოდით ასე რისთვის გვიპასუხა „ჩვენი დროშ“-ის წინადადებულმა პუბლიცისტმა. მაშინდელი ფიცი გვწამდა, დღევანდელი კუდი კი გვაკვირვებს. ალბათ ამასაც „სულმდაბალ ადამიანობათ“ ჩაგვითვლიან ჩვენი დროის სულმდაბალი ადამიანები.

პატივცემულ ნ. ჟორდანიას ჩვენ მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზედ შევედავეთ; „ჩვენი დროშ“-ის კალმოსნები ახალ ამბავს გვაცნობენ: „ნოე ჟორდანია თავისუფალ საქართველოს მიერ არჩეული პრეზიდენტია“-ო, სიტყვა „დინასტია“ არ გვესმის, ამდენი განათლება არ შეგვწევს, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარეს რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან ვარჩევთ, ისეც გვახსოვს, რომ საქართველოს რესპუბლიკას პრეზიდენტი არა ყოლია. საქართველოს კონსტიტუციაშიაც ასე სწერია, და სწორედ ს.-დ. პარტიის მოთხოვნილებით. ჯერ ეს კონსტიტუცია უნდა შესწორდეს, ვინემ ბ. ჟორდანიას რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩევდნენ.

„ჩვენი დროშა“-ს უკუდო ხარმა, როგორც მკითხველი ხედავს, თავისი თავი ვერ დაიცვა და მესამოცეანთა წლების მეთაურის ილია ჭავჭავაძის დაცვა იკისრა. ეს მათთვის მართლაც რომ „უჩველო როლია“, „ჩვენ უნდა დავიცვათ ილია ჭავჭავაძე ამ პატარა კაცუნების პრეტენზიებიდან“-ო. „ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ და სოციალურ კონცეპციასთან ქართულ სოც.-დემოკრატიის ბრძოლა დემოკრატიულ და ნაციონალურ პროგრამის ნიადაგზე, რაც ქართველმა ერმა მიიღო და განახორციელა 26 მაისს, ეს ქართული ისტორიის საამაყო ფურცელს წარმოადგენს“-ო. ახლრებული დამცველის ამ დაულაგებელი და ბუნდოვანი წინადადებიდან მკითხველი აზრს ვერ გამოიტანს. დამწერს, ცხადია იმისი თქმა უნდოდა, რომ სოც.-დემოკრატიის ბრძოლა ილიას წინააღმდეგ დემოკრატიული და ნაციონალური პროგრამის ნიადაგზე, პირველის გამარჯვებით დამთავრდა და 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში გამოიხატა. საწყალი დამარცხებული ილია ჭავჭავაძე. რას იტყვი მკითხველო, ვექილიც ასეთი უნდა არა?

ე. ბ.

ეროვნულ პოლიტიკურ ძალთა მთლიანობა
და
ქართული ეროვნული პოლიტიკის გზები

ელ. პატარიძის მიერ პარიზში იანვრის 27 (1952 წ.) წაკითხული მოხსენების დებულებები

ქართულ-პოლიტიკურ ძალთა ეროვნული მთლიანობა და ერთობა მუდმივი ნატვრის თვალია, ქართველი ერის ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებას რომ დასაბამიდან თანმოჰყვება. მისი განხორციელება, სინამდვილეთ ქცევა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის იშვიათ აღორძინების ხანმოკლე მომენტებს ახასიათებს. მისი დაშლა და მისი ხელახლად განხორციელებისათვის ცდები და ზრუნვა, შავი ზოლით მოსდევს ჩვენს ისტორიას.

ეროვნულ ძალთა ერთობას ბუნებრივათ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების ხანა შეუქმნია, ამ ძალთა ერთობის დაშლას ეროვნული დაძაბუნების და დაცემის ხანა მოჰყოლია. აი ამ სინამდვილის ღრმა შეგნებით უდგება საღი გონებისა და ბუნების ქართველი კაცი ნატვრის თვალად ქცეულს ეროვნული ერთობის საკითხს. ამით ზომავს მის ყოველ სიტყვასა თუ საქმეს. ეროვნულ ძალთა ერთობის არსებობა, ყოველ დროისა და გარემოებისათვის აუცილებელ საჭიროებად შეგვაჩნია: თავისუფალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების, თუ დაკარგული თავისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის ხანაში.

სამშობლოს მიწა-წყალზედ, განმათავისუფლებელი ბრძოლის ხანაში, ქართველმა ხალხმა შესძლო ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა მთლიანობის შექმნა, და შემოსულ მტრისათვის სახელოვანი ბრძოლების მიცემა. ამ ბრძოლებში დაცემულთა საერთო-ძმური-ეროვნული საფლავი ვეფიქრობდით, საკმაოდ ძლიერი ბაზა და საფუძველი იქნებოდა და მასზედ ხანგრძლივათ დამყარდებოდა იმ ეროვნულ ბრძოლებში შექმნილი და შედუღებული ერთობა-მთლიანობა, იქ სამშობლოში და აქ ემიგრაციაში. ვიმედოვნებთ, იქ ერთობისა და მთლიანობის სული და შეგნება არსებობს და თავს იჩენს საჭირო მომენტში.

სულ სხვა მდგომარეობაა აქ ემიგრაციაში: 30 წლის მანძილზედ, ვერ შევსძელით ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა სრული მთლიანობა, ვერ შევსძელით ერთის მეთაურობით — ერთი გზით სიარული, მოქმედება და ბრძოლა ეროვნულ თავისუფლების მოპოვებისათვის; ამიტომ არის რომ საკმაოდ ძლიერი კვალი ვერ დავამჩნიეთ იმ გზას, რომელმაც საბოლოოა გამარჯვებამდე უნდა მიიყვანოს ქართველი ერი.

ამისი მიზეზები:

1. ქართული ეროვნული ემიგრაციის ძველი ოფიციალური მეთაურობა მოწოდებული ეროვნულ ძალთა მთლიანობის დარაჯათ და დამცველად, თვით ებრძვის და ანგრევს ეროვნული ერთობის სულიერ პოზიციას. შინაურ პოლიტიკურ ურთიერთობაში მათ მიერ შემო-

ლებული და დამყარებული ბრძოლის მეთოდი, სპობს თავისუფალი აზრისა და შეხედულების გამოთქმის შესაძლებლობას, ისე რომ მისი მთქმელი საშიშობლოს მტერს არ დაუკავშირონ. ამას შეაქვს ღელვა და დაშლა ქართველთა სულიერი მთლიანობის სფეროში, ნაცვლად სათნოებისა და სიყვარულისა სთესავს და ამყარებს შურსა და სიძულვილს.

2. ასეთი მეთოდის ფიზიკური მსხვერპლი გახდა ჩვენი რამოდენიმე დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივ კაცი, რომელთა დაკარგვას დიდ ნაკლად განიცდის ჩვენი ემიგრაცია. ასეთი მეთოდის მორალური მსხვერპლი გამხდარა მრავალი ჩვენი უმწიკვლო პოლიტიკური მოღვაწე, განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა და მიმართულებისა, და მათ შორის ის ხელახლად შეწყნარებულნიც, რომელნიც დღეს თვალებში შეჩერებიან ამ მეთოდის მამამთავარს.

3. ასეთი მეთოდის მორალური მსხვერპლია მთელი ჩვენი ეროვნული ემიგრაცია, დაშლილი და დაგლეჯილი, დასუსტებული და დაძაბუნებული.

როგორც საქართველოში (1921 წელში) ეროვნულ დამარცხების შემდეგ, ისევე ემიგრაციაში უკანასკნელი დიდი ომის შემდეგ, ეროვნულ-პოლიტიკური ძალების გაერთიანების საკითხი სრულიად ბუნებრივად ჩვენს წრეში დაისვა და ქართული ეროვნული ემიგრაციის წინ დაეყენეთ.

1. ამ მიზნისათვის დაარსებულმა ინტერპარტიულმა კომისიამ, სრული ერთი წელიწადი იმუშავა. მათ მიერ ერთხმად მიღებული შეთანხმება რეალობად უნდა ქცეულიყო და ეროვნული ცენტრი უნდა წარმდგარიყო ქართული საზოგადოების წინაშე.

2. ეროვნული ცენტრის დასაყრდენი საფუძვლები ერთის ხელის დაკვრით დაანგრია ზევიდან და გარედგან უადგილოთ და უხეშათ დასმულმა მთავრობის საკითხმა.

3. ყოფილი მთავრობის საკითხში ჩვენი პარტია იდგა, საქართველოში 1922 წლის, მაისის, დამოუკიდებლობის კომიტეტში შემავალ, ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიათა მიერ მიღებულ შეთანხმების ნიადაგზე.

4. ყოფილი მთავრობის საკითხის დასმას ჩვენი პარტია და გამაერთიანებელი კომისია ერიდებოდა იმ მოსაზრებით, რომ განსაკუთრებით, უკანასკნელი დიდი ომის შემდეგ ხანაში საბჭოთა წარმომადგენლებისადმი დადადგმულმა კომპრომისულმა ნაბიჯებმა კიდევ უფრო შეასუსტა 1922 წლის შეთანხმებით განსაზღვრული მათი როლი და მნიშვნელობა.

5. მიზანშეწონილად აღარ მიგვაჩნდა დაარსებულ ეროვნული ცენტრის მათის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით მოქმედება.

6. ქართულ ემიგრაციის ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი დაარსდა კომისიის მუშაობის შეწყვეტიდან რამოდენიმე თვის შემდეგ, კომისიის მიერ ერთხმად მიღებულ დებულებებზედ, კომისიაში წარდგე-

ნილი პარტიათა და დაჯგუფებათა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ.

7. მიუხედავად ამისა, საჯაროთ და საქვეყნოთ აღიარებულ იქმნა ამ ცენტრის არასისრულე. გამოთქმულ იქმნა იმედი, რომ მის გარეშე დარჩენილ სოც.-დემოკ. პარტიასთან ახლო მომავალში მოხდებოდა შეთანხმება, თუ კი ისინი საამისო სურვილს გამოიჩენდნენ.

8. ეროვნული ცენტრის დაარსებამ ურთიერთ-ერთის დაუახლოვა ს.-დემოკ. პარტიის პოზიცია და ოპოზიცია. მათ, მარშან იანვარში მათი საერთო კრება მოიწვიეს, ეროვნულ ცენტრს ოპოზიცია გაუმარტეს; ყალბი ცნობები მისცეს მათ წრეებს, ეროვნული ცენტრი ანარასებულად გამოაცხადეს, მასთან ურთიერთობის გზები საბოლოოთ გადასჭრეს და ჩუმ ოპოზიციაში გადავიდნენ.

9. ამ ხნის განმავლობაში კიდევ უფრო გააძლიერეს ურთიერთობა რუსის „დემოკრატიულ“ წრეებთან. უკანასკნელნი დიდის ენერგიით შეუდგნენ მათ დამუშავებასა და მათ რუსულ პოლიტიკისათვის მომზადებას (იხილეთ ბ. მელგუნოვის მიერ ამ ფაქტის აღიარება „როსიისკი დემოკრატ“-ის მე-3-ე ნომერში).

10. ბ. ნ. ციცაძის მოხსენება ქართულ კოლონიაში 2 წლის წინ, ამ მოსამზადებელი ეპოქის ოფიციალურ გახსნათ უნდა ჩაითვალოს. მისი მოხსენების ფიცდა-აზრს, რუსის დემოკრატიასთან ჩვენი დაახლოვება და მათთან საერთო ფრონტის შექმნა, წარმოადგენდა.

11. ბ. გრ. ურატაძის საჯარო მოხსენება, დაახლოვებით წელიწადნახევრის წინ, მიზნად ისახავდა ჩვენი ეროვნული მოძრაობის მიმალვას, მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის წინააღმდეგ, მიმართული ეროვნული ბრძოლების დამცირებას, ილ. ჭავჭავაძისა და მესამოციანთა წლების ეროვნული აზროვნებისადმი ჭილოფის გადაფარებას, და გურიის ერთი მიყარდნილი სოფლის ჯუმჯუმეთის პარტიულ საარაონო კრებაზე ეროვნულ საკითხის დაყენებისათვის პრიმატის მინიჭებას.

12. ბ. გრ. ურატაძისვე გამოსვლა რუსის დემოკრატიის „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ში, სადაც ის მკაფიოთ და მოურიდებლად ამჟღავნებს მის რუსოფილურ მიდრეკილებას და რუსეთის ამა თუ იმ სახით მთლიანობის შენარჩუნებისათვის ზრუნვას. სხვა ერებისა და მათ შორის ქართველი ერის მიერ მისი დამოუკიდებლობის აღდგენას იძულებითი და დროებითი ხასიათის მოვლენად აცხადებს, ვიდრე შესაძლებელი არ გახდება ამ ერების ისევ ერთად თავმოყრა და რუსეთის ფარგლებში მათი თანამშრომლობა.

ა. კერენსკის ეპოქა ქართულ პოლიტიკაში

იმ წლის აგვისტოში ბ. ა. კერენსკი მოევლინება მცირე ერთა და მათ შორის ქართველ ემიგრაციასაც. ის რუსის დემოკრატიულ წრეების სახელით ცდილობს აშკარად კონტაქტი დაამყაროს მათ მიერ წინასწარ დამუშავებულ რუსოფილურად განწყობილ წრეებთან. მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან მოჰყვება რუსის ხალხთა ბოლშევიზმისაგან განმათავისუფლებელ ამერიკული კერძო კომიტეტის წარმომადგენელი ბ. დონ-ლევინი.

1. ეს ორი უცხო პირი კონტაქტს ამყარებენ ჩვენი ს.-დემოკრატიის მეთაურებთან. მათ უმეღავნებენ მათი რუსული პოლიტიკის გეგმებს და იწყება მუშაობა ეროვნული საბჭოს სახელდახელოდ შექმნისათვის. იმ მიზნით, რომ უკანასკნელმა მისი დელეგატები წარგზავნოს ვისბადენში, რუსულ დემოკრატიულ ორგანიზაციების მიერ მოწვეულ კონფერენციაზე.

2. ამ უცხოელების მიერ მოცემულ ნიშნის ქვეშ მოწვეულ იქმნა წინასწარ შერჩეულ პირთაგან შემდგარი საზოგადო კრება, რომელიც პარიზის ქართულ კოლონიის „მრავალრიცხოვან“ კრებად იქმნა მეთაურთა მიერ მიჩნეული და გახმაურებული. ამ კრებაზედ ოსტატურად ჩაწყვეს მომავალი საბჭოთს შესაქმნელი გეგმა, მათი საბოლოო მიზნის გაუმყლავნებლად.

3. ქართული ემიგრაციის ეროვნულ-პოლიტიკურმა ცენტრმა, რომელსაც საკმაო ცნობები მოეპოებოდა ამ მიზნისათვის კულისებში წარმოებული მუშაობის შესახებ, საგანგებო ფურცლით გააფრთხილა საზოგადოება ამ უცხოთა კარნახით მოწვეულ კრებას არ დასწრებოდა და მონაწილეობა არ მიეღო იმ საქმიანობაში, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ეროვნულ პოლიტიკის დედა-აზრს.

4. ამ საზოგადო კრებაზე არჩეულმა კომისიამ მოამზადა და მოაწყო ის სამარცხვინო, 21 ოქტომბრის „კონფერენცია“, რომელსაც მხოლოთ ს.-დემოკრ. პარტიის პოზიცია-ოპოზიციის მიერ არჩეულ დელეგატები დაესწრნენ, ორიოდე არავისგან არჩეულ — ფედერალისტებისა და „თეთრი გიორგის“ წარმომადგენლის დამატებით. ამ „კონფერენციას“ პარიზის მრავალრიცხოვანი და მრავალ ფერადოვანი ემიგრაციის წარმომადგენელნიც არ დასწრებიან, პროვინციასა და უცხოქვეყნებში მყოფ ქართველების წარმომადგენლებზედ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ეს „კონფერენცია“, რომლის შესახებ კორიენტელი დააყენეს, სანიმუშოდ დარჩება ჩვენი ეროვნულ ემიგრაციის ისტორიაში.

„რუსეთის ხალხთა“ ვისბადენის კონფერენცია

რუსული ემიგრაციის 5 დემოკრატიული ორგანიზაციის გაერთიანებულ საბჭომ — რომელთა ერთობის საფუძველია დიდი რუსეთის მთლიანობის შენარჩუნება, და რომელთა აზრითაც, დღევანდელ რუსეთის დანაწილება არ შეეფერება მის საზღვრებში მომწყვდეულ ხალხთა, არც პოლიტიკურს, არც კულტურულსა და არც ეკონომიურ ინტერესებს, — მოიწვია ვისბადენში წარსული წლის 3 ნოემბ. კონფერენცია, რომელზედაც მიიწვიეს „რუსეთის ხალხთა“ ერო-

ვნული ემიგრაციის წარმომადგენლები, ბოლშევიზმის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შესაქმნელად.

1. ამერიკულ კერძო საზოგადოებრივი ხასიათის კომიტეტი შექმნილია რუსის ხალხის ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების მიზნით და დღემდე მისი ოფიციალური პოლიტიკური ხაზია რუსეთის იმპერიის მთლიანობის დაცვა. მისი თავმჯდომარე ლაიონსის გამოსვლა, რუსეთის ეროვნებათა მიხედვით დანაწილების პოლიტიკური ხაზის მატარებელი, საგარეო საქმეთა მინისტრის, ბ-ნ აჩენსონის წინააღმდეგ საქვეყნოდ ამყლავნებს იმ კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს.

2. მათ მიწვევია ვისბადენის კონფერენციაზე არ ღებულობს რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების ემიგრაციის არც ერთი არსებული ნაციონალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელთა მიზანია მათი ეროვნული სუვერენობის აღდგენა.

3. ამ კონფერენციას ესწრებიან, რუსების მიერ ეროვნულ ემიგრაციის პროტესტოფილური მცირე წრეებისაგან, სახელდახელოდ შექმნილი ფიქტიური ორგანიზაციების წარმომადგენელნი და მათ შორის ეგრედ-წოდებულ „ქართული ეროვნული საბჭო“-ს ორი წარმომადგენელიც.

4. კონფერენციის მიერ გამოტანილი და გამოქვეყნებული ოფიციალური დეკლარაცია:

ა) „ჩვენ ერთნი ვართ კომუნისტური დიქტატურის შეურიგებლად დაფასებაში. მისი ლიკვიდაცია გზას გაუხსნის ხალხთა განთავისუფლებას.

ბ) ჩვენ ერთნი ვართ ხალხთა თვითგამორკვევის უდაო უფლების აღიარებაში, დემოკრატიული ნებისყოფის გამოთქმით გადასწყვიტოს თავისი ბედი.

გ) ჩვენ ერთნი ვართ მისწრაფებაში, მივმართოთ ჩვენი ხალხების მთელი ძალღონე კომუნისტური მონობის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის“.

5. ეს დეკლარაცია, რომელზედაც ხელი მოაწერეს „ქართული ეროვნული საბჭო“-ს წარმომადგენლებმა, არ შეეფერება ქართველი ერის სუვერენობის უდაო უფლების იმ პოზიციას, რომელიც საერთაშორისო უფლებას ეყრდნობა და აღარ ეკუთვნის რუსეთის შინა-პოლიტიკურ საკითხთა სფეროს. 1918 წ. 26 მაისის აქტის შემდეგ ქართველი ხალხი აღარ შედის უფლებრივად „რუსეთის ხალხთა“ რიცხვში. იმ კონფერენციაზე დასწრება და ამ დეკლარაციაზე ხელისმოწერა, ჩვენი ეროვნულ პოზიციისაგან უკან დახევა და რუსეთისაკენ კვლავ პირის ბრუნებაა.

6. რუსეთის მიერ საქართველოს პირველ ანექსიიდან სრულ 150 წლის თავზე — ქართულ-ეროვნულ პოლიტიკას ისევ დიდი რუსეთისაკენ უქნეს პირი.

7. 1918 წ. 26 მაისის აქტით აღდგენილ ეროვნულ სუვერენობას, მსოფლიოს სახელმწიფოთა მიერ ფაქტიურათ და იურიდიულათ ცნობილს, საბჭოთა რუსეთის მიერ ცნობილსა და ხელახლად ძალით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკმეტულს, რამოდენიმე სისხლიან ეროვნულ აჯანყებათა მიერ განმტკიცებულა, აღარ შეეფერება „ქართული ეროვნული საბჭო“-სი და მისი ხელმძღვანელ ყოფილ მთავრობის დელეგატების ვისბადენის „აქცია“.

8. ეს ჩვენი ეროვნულ შეგნების სულიერი პოზიციიდან რამოდენიმე საუკუნით უკანდახევაა, ეროვნული თვითგამორკვევის პირველ-ყოფილ პოზიციამდე; ნაციონალური პოლიტიკის რეგრესია და უდიდესი მარცხი.

9. ჩვენი ეროვნული ემიგრაციის, რუსის პოლიტიკურ ემიგრაციასთან კავშირში შესვლის ცდა არ შეეფერება ჩვენი ემიგრაციის წარმომშობ მიზეზს, არც მის მიზანსა და დროშას.

10. რუსის ემიგრაციის მხოლოდ დემოკრატიულ ნაწილთან კავშირში შესვლა, მომავალი რუსეთის შინაურ წესწყობილებისათვის გეგმების შედგენა და ამისათვის მუშაობა, პოლიტიკური უტოქტობაა, ვინაიდან ეს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაა. ამ უკუდო ხარის როლში გამოსვლა, კიდევ უფრო გადაგვამტერებს რუსი ხალხის არადემოკრატიულ აბსოლუტურ ეგოისტობას.

11. რუსის უპასუხისმგებლო ემიგრანტების ცბიერ და ფარულ დაპირებას, საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, ჩვენი ისტორიული გამოცდილებით, არავითარი ფასი და ღირებულება არ აქვს.

12. ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხის რუსებთან ცალკე დაყენება და მათგან რაიმე დაპირების მიღება, გამოგვთიშავს ჩვენს ბედში მყოფ მოძმე ერებისაგან. რუსების მხრივ ეს მოფიქრებული პროვოკაციაა, ქართველების მხრივ კი ასეთი პოლიტიკა ბრმა ეგოისტურია. უტოქტო და უსუსური.

11. საჯაროთ ვაყენებთ საკითხს: რომელი ქართული პოლიტიკური და ეროვნული ორგანიზაციაა ამ „აქტისათვის“ პასუხისმგებელი: ეგრედ წოდებული ეროვნული საბჭო და მისი კომიტეტი, მათი შემქნელი ს.-დემ. პარტია და მათი ხელმძღვანელი საქართველოს ყოფილი მთავრობა ილებს თუ არა ერისა და ისტორიის წინაშე, ვისბადენის კონფერენციაზე დამსწრე ქართველი დელეგატების მოქმედებაზე პასუხისმგებლობას?

ამ საკითხზედ გაცემული პასუხი ერთგვარ შუქს შეიტანს ქართულ ემიგრაციაში შექმნილ მძიმე და ბნელ ატმოსფერაში და საბოლოოთ გადასჭრის ჩვენი დროისათვის ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების საკითხს.

12. ბ-ნ მელგუნოვის განცხადებით, ვისბადენის „ილიუზიას“ ბოლო მოეღო. თვით რუსული ორგანიზაციების თანხმობა დაირღვა, და კონფერენციის მონაწილენი საზღვაპრო „გატეხილი გობის“ წინ აღმოჩნდენ. ბ-ნ ნ. ცინცაძის განცხადებით, ქართველი დელეგატები კიდევ ემზადებიან რუსებთან მომავალ კონფერენციაზე დასასწრებლად.

13. ქართული პოლიტიკის „ვისბადენის“ ხაზი დამთავრებულათ და დამარცხებულათ უნდა ჩაითვალოს. უნდა დაიბუროს ქართულ ერ-

ოვნულ პოლიტიკაში „კერენსკის დროებითი ეპოქა“. მხოლოთ ამის შემდეგ გაეხსნება გზა ქართულ ეროვნ. პოლიტიკურ ძალთა ერთობას.

ქართული ეროვნული პოლიტიკის ხაზი და გზები

ქართული ეროვნული პოლიტიკის გეზი და მიმართულება გამომუშავებულია და გარკვეულად მოცემული ჩვენი ერის ისტორიული მწარე გამოცდილების მიერ. მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო ადასტურებს და ამაგრებს მას:

1. რუსეთის წითელი იმპერიის სრული დაშლა; ეროვნულ სუვერენულ სახელმწიფოთა აღდგენა; ეველიკორუსეთის მის ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ საზღვრებში ჩაყენება.

2. ამ მიზნით რუსეთის მიერ დაპყრობილი, ჩვენს ბედში მყოფთ მოძმე ერებთან მჭიდრო კავშირი და საერთო მოქმედებისა და ბრძოლის ფრონტის შექმნა.

3. ამ მიზნითვე დაკავშირება მსოფლიოში არსებულ დემოკრატიულ ძალებთან, რომელთა მიზანი ჩვენს ეროვნულ მიზნებსა და გზას ეთანხმება.

4. დღევანდელი საბჭოთა რუსეთის საზღვრებში ძალით ჩაჭედილ უცხო ერების, ბოლშევიზმის დამარცხების შემდეგ, კვლავ რუსეთის ფედერაციაში დატოვება მიუღებელია. ეს რუსეთის მესამე იმპერია იქნება ფაქტიურად. ეს ეწინააღმდეგება როგორც ქართველ, ისევე მის მოძმე ერთბედში მყოფი ერების ნაციონალურ სულისკვეთებას, ინტერესებსა და მიზანს.

5. კავკასიურ ერებთან კონფედერაციის შექმნა და ქართული და კავკასიური პოლიტიკის ევროპისაკენ პირის ბრუნება.

6. შესვლა აღმოსავლეთ ევროპის ერთა კავშირში, რომლისათვის ინტენსიური მუშაობა უკვე სწარმოებს, აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების წარმომადგენელთა მიერ.

7. ევროპის სახელმწიფოებთან დაახლოვება და მჭიდრო კავშირის დამყარება, ქართული პოლიტიკის მუდმივი მისწრაფების საგანი იყო. ძველ საუკუნეთაგან დაწყებული.

8. მეცნიერებისა და ტექნიკის უსაზღვრო განვითარებამ, სიშორის და დროის დაძლევით მოსპო ის დაბრკოლებებიც, რომელიც აძნელებდა საქართველოს ევროპასთან დაახლოებას. შავი ზღვის ნაპირებზედ სამხრეთ - დასავლეთით მომხდარი ცვლილებებიც, ჩვენ მეზობელ სახელმწიფოთა ცხოვრებაში, გზებს გვიხსნიან დასავლეთისა და ევროპისაკენ.

9. 30 წლის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ევროპის ქვეყნებში ბინადრობა, გამოყენებული უნდა იქმნას ევროპის სახელმწიფოებთან და არა ჩრდილო - რუსეთთან დაახლოება - დაკავშირებისათვის. ჩვენს ემიგრაციას ევალება ქართული ეროვნული პოლიტიკის ამ ისტორიული ხაზის განხორციელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ეროვნულ - პოლიტიკურ ძალთა ერთობისათვის

ეროვნულ ძალთა ერთობისათვის წინასწარი პირობებია:

1. უადგილო დიქტატურის, და იმ მეთოდების უარყოფა, რომელმაც დაარღვია და ანარღვევს ქართული ემიგრაციის სულიერი ერთობის საფუძველს; დემოკრატიული - ზომიერი მეთოდებისა და სულისკვეთების შემოღებით ამ უკანასკნელის აღდგენა.

2. ვისბადენის ხაზის უარყოფა და ქართული ეროვნული პოლიტიკის სწორი — ქართული ხაზით მიმართვა და საღ ისტორიულ და უფლებრივ ეროვნულ პოზიციაზე დადგომა და მისი უკომპრომისოთ დაცვა.

აი ის ბაზა, რომელზედაც უნდა დამყარდეს - დაფუძნდეს ქართულ - ეროვნულ - პოლიტიკურ ძალთა ერთობა.

ელ. პატარიძის მოხსენების გამო

ფართო საზოგადოების წინ გადმოტანა და დაყენება იმ საკითხებისა, რომლის შესახებაც პოლიტიკური პარტიები ვერ თანხმდებიან, ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ტრადიციაა. უკანასკნელის ვაგრძელება იყო ჩვენი პარტიის კომიტეტის მიერ მოწყობილი ეს მოხსენებაც, რომლის მიზანი იყო ჩვენი უთანხმოების საგნად ქცეული აქტუალური საკითხების დაყენება, მათ შესახებ ფართე საზოგადოებისათვის, ულუალო წყაროებიდან, ამომწურავი ინფორმაციის მიცემა, ჩვენი შეხედულებათა და პოზიციის საჯაროთ გამოთქმა და ამავე დროს მოწინააღმდეგეთა აზრის მოსმენა. ეს საჭირო იყო, რათა გამოგვერკვია თუ რამდენად შესაძლებელია ჩვენი პოლიტიკურ ძალთა ერთობის დამყარება. ამ მოხსენებამ მის მიერ დანიშნულ მიზნებს სავსებით მიაღწია:

ის მეტად სუსტად იქნა დაფასებული მოწინააღმდეგე ბანაკის მეთაურების მიერ. ამ „სუსტმა“ მოხსენებამაც კი საღერღელი აუშალა და წონასწორობა დააკარგვინა მათ. ვისბადენის წითელი პილპილით პირდამწვარმა ბაგეთაგან ბევრი რამე სამწუხარო ამბავი გამოიტანა:

ბ-ნ ჯრატაძემ თავი იმით მოიწონა, რომ მის მიერ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ში დასახული გზითა და გეზით წასულა ქართული საზოგადოების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. ამით მან დაადასტურა მომხსენებელის ერთ-ერთი დებულება და აზრი. ბ-ნ ნ. ცინცაძის გამოსვლამ გამოაშკარავა მათი სუსტი პოზიციის დაცვის სიძნელენი და ის უხერხულობანი, რომელსაც ისინი ვრძნობენ. მეტად სამწუხარო და სავალალო იყო ტრიბუნიდან გადაგდებულ ანკესზედ წამოგებული ბ-ნ ევ. გეგეჭკორის ნაძალადები გამოსვლა. პირველად ხთება, რომ ქართული საზოგადოების წინაშე აშკარათ მათ მიერ თავაძესთან კავშირსა და ურთიერთობას ასე ულაზათოთ, სუსტათა და ცინიკურად ამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთულებენ და ამ „საგმირო საქმეებით“ ამაყობენ კიდეც. თავაძე და მისი მეგობრები მთელ საქართველოში მყოფ ახალგაზრდობას გაუთანასწორა ასეთი „გონიერი და ტაქტიკური“ გამოსვლისას ის ხმამაღლა აცხადებს, რომ იყო და არის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტერი და არავითარი კავშირი არ შეუძლიათ იქონიონ იმ წრეებთან, რომელიც საქართველოს ასეთ „კანონიერ მთავრობას“ არ აღიარებს.

საკვირველი იყო ბ. კოწია ივერიელაძის გამოსვლა, რომელმაც გვისაყვედურა, რომ ჩვენ ვითომ ინგლისში არ გაეწვიეთ ს.-დემ. პარტიის მეთაურობის პოლიტიკურ ცოდნას, გამოცდილებას და ნაცნობობას. ის კი ველარა სთქვა, რომ ამ ცოდნა-გამოცდილება-ნაცნობობით მივიდნენ ვისბადენის რუსული კონფერენციის კარებამდე. მათი ცოდნა-გამოცდილებაც ამ „აქციით“ ფასდება.

არ გამართლდა „ეროვნული საბჭო“ და მის „ეკზეკუტივის“ ზოგიერთი წევრების მიერ განგებ გავრცელებული ხმები: ბ. ჟორდანია, ყოფილი მთავრობა, და მასთან ერთად ჩვენი წრეც ვისბადენის რუსულ ხაზს არ ვიზიარებთ და შიგნით საბჭოში ამ ხაზს ვებრძვითო. არც სოც.-დემოკრ. პარტიის რომელიმე წევრს, და არც მათდამი მონური სულისკვეთებით დამორჩილებულ სოც.-ფედერალისტთა თუ „თეთრი ცხენოსნ“-ს რომელიმე წევრს, პოლიტიკური გამბედაობა არ აღმოაჩნდათ, გამოსულიყვნენ და საჯაროთ ხმა ამოეღოთ და თავიანთი პოზიცია გამოაშკარავებინათ. საჯაროთ მოხსენა მათ მიერ ვისბადენის რუსული ხაზის დადასტურება. გამართლდა ჩვენი აზრი სამწუხაროთ, რომ ეს ხაზი ბ-ნ ნ. ჟორდანიას მიერ იყო ოფიციალურად აღებული და დადასტურებული. ბ. ევ. ცეგეჭკორმა ხომ ბ. ნ. ცინცაძის მოხსენებაზე აღიარა, ამ ხაზის სისწორე და დაფარა ის „მთავრობის“ სახელით. ბ. პატარაიძის მოხსენებაზე მისმა გამოსვლამ და თავაძესთან მათი საქმიანობის გამართლების ეილაჯმა ცდამ ნათელ ჰყო დღემდე კიდევ ბევრისათვის საეჭვო სინამდვილე, რომ „ეროვნულ საბჭო“ და მის „ეკზეკუტივში“ თავს იყრიან, ზოგიერთების გამოკლებით, ის პოლიტიკური მოღვაწენი, რომელნიც თავაძის ირგვლივ რამოდენიმე წელიწადი ტრიალობდნენ, და ამის შემდეგ ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ემიგრაციას პოლიტიკურ მოქმედებაზედ ხელის აღებას ურჩევდნენ. დღეს მათ ეროვნული პოლიტიკის ხაზიდან ისევ რუსეთისაკენ, გადახრის ხაზით პოლიტიკური მოქმედება წამოიწყეს.

მოსმენელისათვის მათ მიერ გაცემული პასუხის შემდეგ, სამწუხაროთ კიდევ უფრო შემცირდა ეროვნულ-პოლიტიკური ძალთა გაერთიანებისათვის დღემდე არსებული იმედები.

დამსწრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისბადენის კონფერენცია

რუსული დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ და ამერიკული კერძო კომიტეტის დახმარებით, მოწვეულ ვისბადენის 3 ნოემბრის (1951 წ.) კონფერენციას დაესწრენ ბ. დონ-ლევინის მატერიალური დახმარებით, საჩქაროთ და სახელდახელოთ შედგენილი მცირე ერების ემიგრაციების ყალბი ორგანიზაციების რუსოფილური წარმომადგენლობა, რომელთა პოლიტიკური აზრი იყო და არის ამა თუ იმ სახით დიდი რუსეთის იმპერიის მთლიანობის შენარჩუნება.

როგორ დააფასა და განსაჯა წინასწარ თუ შემდეგ, რუსეთის მიერ დაპყრობილი მცირე ერთა ეროვნულ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და ლეგალურმა დაწესებულებებმა, ვისბადენის კონფერენციის პოლიტიკური შინაარსი, აზრი და მისი ავტორები?

ქართული ემიგრაციის ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის განცხადება

„ეროვნული ცენტრი სასტიკ პროტესტს აცხადებს, რუსულ ორგანიზაციების მიერ მოწვეული ვისბადენის კონფერენციაზე, საქართველოს ყალბი წარმომადგენლობისა გამო.

ეროვნული ცენტრი მიაქცევს საზოგადოების ყურადღებას ვისბადენის იმ პოლიტიკურ ხერხს, რომლის მიზანია, ანტისაბჭოთა საერთო ფრონტის შექმნის სახით, დიდი რუსეთის მესამე იმპერიისათვის ნიადაგის მომზადება.

ეროვნული ცენტრი ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები განიცდიან უცხო ქვეყნის ეროვნულსა და იმავე დროს პოლიტიკურ მონობას, და მხოლოთ მათი ეროვნული სუვერენობის აღდგენა უნდა მოჰყვეს, საბჭოებისა და კომუნიზმის საბოლოოთ დამარცხებას.

ეროვნულ ცენტრს მიუღებლად მიაჩნია ვისბადენის თათბირის მიერ მიღებული და გამოქვეყნებული დეკლარაცია, რომელიც არ შეეფერება საქართველოს სუვერენობასა და 26 მაისის, დამოუკიდებლობის აქტს, ცნობილ ფაქტიურათ და იურიდიულათ ყველა სახელმწიფოთა მიერ.

ეროვნული ცენტრი მოუწოდებს რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების ემიგრანტულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, საბჭოთა რუსეთის სრული დაშლის მიზნით, მათი მებრძოლი ძალების გაერთიანებისაკენ.

ეროვნული ცენტრი, ატლანტიის პაქტში შემავალ სახელმწიფოების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები, ფრიად მნიშვნელოვანი ძალაა და მათი ბუნებრივი მოკავშირეც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართ. ერ.-დემოკრატიული პარტიის პარიზის ორგანიზაციის წევრთა (1951 წ. 16 ოქტ.) კრების რეზოლიუციიდან

„სრული ეროვნულ-პოლიტიკური მთლიანობის შექმნას, დღემდე შინაური ხასიათის ფაქტორი უშლიდა ხელს. დღეიდან მას მეორე საგარეო ხასიათის ფაქტორიც დაემატა. ეს არის ს.-დემ. პარტიის ბელადების მიერ ქართული ეროვნული პოლიტიკის რუსული ხაზით მიმართვის და რუსული პოლტიკისადმი დაკავშირებისა და დაქვემდებარების აშკარა ცდები. ამ მოვლენის საბოლოოთ დადგენა და დამყარება დაარღვევს და დაშლის ქართველთა სულიერსა და ფსიქოლოგიურს ერთობას. ეს ხაზი ყოვლად მიუღებელია და შეუფერებელი ქართული ტრადიციული ეროვნული პოლიტიკისათვის.

— ჩვენი ემიგრაცია უპირველეს ყოვლისა ეროვნულია და მერმეთ პოლიტიკური. ის იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს, მხოლოდ ეროვნებათა თავისუფლების დროშის ქვეშ.

— ქართველი ერის სუვერენობის საკითხის დასმაც კი რუსის ემიგრაციის მეთაურებთან საერთო კონფერენციაზე, ჩვენი ეროვნულ-უფლებათა დამკვიდრებული პოზიციიდან უკან დახევას უდრის. ეს მიუღებელია და შეურაცხყოფელი ჩვენი ეროვნული მეობის ღირსებისათვის.

— კავშირის დამყარება, მხოლოდ რუსულ დემოკრატიასთან და მათთან ერთი დროშით ბრძოლა უტაქტოცაა. ეს მომავალი რუსეთის შინაური წყობისა და რეჟიმის საკითხებში ჩარევაა, და ეს ჩვენი საქმე არ არის.

— კრება მოუწოდებს სოც.-დემ. პარტიის მცდარ გზაზედ შემდგარს მეთაურობას, არ გადაუხვიოს ეროვნული პოლიტიკის ქართულ ხაზს და ამით დაიცვან ქართველი ერისა და მისი ემიგრაციის სულიერი ერთობა.

— კრება ადგენს მხარში ამოუდგეს ეროვნულ ცენტრს, და მის გვერდში მდგარ ეროვნულ ძალებთან ერთად მეებრძოლოს კერენსკის მეთაურობით განზრახულ რუსულ კომიტეტში ქართულ პოლიტიკურ წარმომადგენელთა შესვლის ცდებს“.

კრების თავმჯდომარე: **ელ. პატარიძე.**
მდივანი: **ივ. ასათიანი.**

ქართული ემიგრაციის ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის მიერ მოწვეული პარიზის ქართველთა კრების რეზოლუცია

1951 წლის 20 ოქტომბერს, პარიზის ქართველთა კრებამ მოისმინა ქართული ეროვნულ პოლიტიკური ცენტრის საინფორმაციო მოხსენება. იგი საკვლევით იზიარებს მის პოლიტიკურ ხაზს და მიუღებლად მიაჩნია ჩვენი პოლიტიკური წრეების ერთი ნაწილის განზრახვა, ცალკე საბჭოს შექმნისა, რუსულ ემიგრაციასთან დაკავშირების მიზნით, რაც დაშლით ემუქრება ქართული ემიგრაციის მთლიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წელს საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. მას აქეთ 30 წლის განმავლობაში ქართველი ერი იბრძვის ორი ფრონტით: მოსკოვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ — დამოუკიდებლობისათვის და მსოფლიო ცივილიზაციის დამანგრეველი ბოლშევიზმის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის.

1. კრება კიდევ ერთხელ საქვეყნოდ აღიარებს ქართველი ერის უფლებას, აღადგინოს თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

2. სასტიკად წინააღმდეგია ქართული ეროვნული-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაკავშირებისა — რუსული ემიგრაციის ბრძოლის ხაზთან.

3. ქართული ეროვნული და პოლიტიკური ემიგრაცია იბრძვის მხარდამხარ რუსების მიერ დაპყრობილ ერებთან ერთად ერთა სუვერენობისა და თავისუფლების დროშის ქვეშ.

4. კრება მიმართავს იმპერიალისტური რუსეთის მოწინააღმდეგე კულტურულ კაკოპრიობას, მხარი დაუჭიროს რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს, მათ სუვერენულ სახელმწიფოთა აღსადგენად.

კრების თავმჯდომარე: **დ. მაჭავარიანი.**
მდივანი: **ალ. მანველიშვილი.**

ქართველ-ამერიკელთა ლიგის და ქართული სათვისტომოს განცხადებიდან

1. აღვიარებთ აუცილებელ ჩვენს მოვალეობათ, საერთაშორისო სარბიელზედ, საქართველომ იქონიოს კეთილ-მეზობლური ურთიერთობა ყველა, მისი ახლო და შორეული მეზობელი ერების და სახელმწიფოების მიმართ. განსაკუთრებულ საჭიროებად ვსთვლით მჭიდრო თანამშრომლობას მოძმე კავკასიელ და სხვა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერებთან, რომელნიც დაპყრობილნი არიან საბჭოთა რუსეთის მიერ.

2. ქართული და რუსული პოლიტიკური ემიგრაციის ურთიერთობის შესახებ, გამოვსთქვამთ შემდეგ მოსაზრებას: რადგან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი არის საქართველოს განთავისუფლება და სრული დამოუკიდებლობის აღდგენა, ამით უნდა განისაზღვროს მომავალი დამოკიდებულებაც არა-კომუნისტურ რუსეთთან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უნდა სწარმოებდეს საერთაშორისო სამართლიანობის წესით მიღებული, ორი სუვერენული სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთობის ნიადაგზე.

3. თანამედროვე მომენტში, მიუღებლათ ვთვლით ქართული პოლიტიკური ემიგრაციის **ყოველგვარ თანამშრომლობას რუსულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან, რადგან მათ მიერ გამოთქმულ დაპირებებს სრული უნდობლობით უყურებთ, ორი ისტორიული მწარე გამოცდილების საფუძველზე“.**

ქ.-ა. ლიგის თავმჯდომარე: **თ. ბაგრატიონი.**
ქ.-ა. ლიგის მდივანი: **გ. კობახიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური ევროპის ქართული პოლიტიკური კომიტეტის ემიგრაციისადმი მიმართვიდან

(მისი მეტად აიდიდის გამო იძულებული ვართ აქ მოვიყვანოთ მხოლოდ მეტად მნიშვნელოვანი ადგილები)

რუსული ორგანიზაციების ეროვნულ საკითხზე შეხედულებათა განხილვის შემდეგ, ზემოხსენებული კომიტეტი შენიშნავს „რა აქვს ან როგორ შეიძლება რამე საერთო ჰქონდეს ასეთ ორგანიზაციასთან ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს?

„ჩვენთვის საესებით ცხადი იყო, რომ ამ წმინდა რუსულ კონფერენციას პოლიტიკური ქართველობა ვერ დაესწრებოდა. ეს რწმენა გამომდინარეობდა შემდეგ დებულებათაგან“:

„1 — საქართველოს ეროვნული ემიგრაცია ეყრდნობა მსოფლიო ქვეყანათა მიერ ცნობილი იურიდიულ სტატუტს, მისი სახელმწიფოს უდაო სუვერენობის პოზიციას“.

„2 — ამ უფლების მოდავე, მოწინააღმდეგე და ძალით დამრღვევი იყო, არის და რჩება მხოლოოთ რუსეთი და რუსობა“.

„3 — ქართული ეროვნული ემიგრაცია იბრძვის თავისი ქვეყნის უფლებების აღდგენისათვის, საქართველოს განთავისუფლებისათვის“... „რუსული ემიგრაცია იბრძვის შინაწყობილების და ძალაუფლების შეცვლისათვის“. „ედინნაია - ნედელიმაია“ რუსეთის გადარჩენისათვის“. „ამ უდაო საბუთების მიხედვით ქართული და რუსული პოლიტიკური გზები გაყრილად ითვლებიან“. „აი ის მოსაზრებანი, რომელნიც იმპერატიულად უარყოფდენ პოლიტიკური ქართველობის მონაწილეობას რუსების კონფერენციაზე ვისბადენში, რადგან წინასწარ ცხადი იყო, რომ ასეთ ყრილობაზე საქართველოს კანონიერ უფლებებს არავინ იცნობდა. ასეც მოხდა“. „აი ასეთ კონფერენციაზე ვისბადენში, პარიზიდან ჩამოსული ორი ქართველი დელეგატი, ბ-ნი ნ. ცინცაძე და ბ. დ. სხირტლაძე, შეთანხმებით რუსებთან, ხელს აწერენ „ქართული ეროვნული საბჭოს“ სახელით დეკლარაციას“.

„ამ დეკლარაციაში საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველი ერის სუვერენობის ხაენებაც არ არის და საქმე დაყვანილია ზოგადათ გამოთქმულ თვითგამორკვევის უფლების საკითხამდე“. „მაგრამ აქედან სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობა - სუვერენობამდე კიდევ დიდი მანძილია“. „ამ რიგათ საქართველო, რომლის სახელმწიფო იურიდიულად ცნობილია თითქმის მთელ კულტურული ქვეყნების მიერ და თვით საბჭოთა რუსეთის მიერაც, ვისბადენის დადგენილებით მოქცეულია იმ ერთა რიცხვში, რომლებმაც მომავალში უნდა გამოარკვიონ სურსთ თუ არა დამოუკიდებლობა! თითქოს 1918 წ. 26 მაისის აქტი და ბოლშევიკურ რუსეთთან გაწეული სისხლიან ბრძოლებით ეს საკითხი გარკვეული არ იყოს!“

„უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ასეთი მარცხი საქართველოს საკითხს ჯერ არ განუცდია“ (ხაზი ჩვენია).

„ეს არის ხელის აღება ქართველი ერის სუვერენობის დაცვაზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბრძოლის გეზისა და მიზნის შეცვლა. ეს არის აგრეთვე საქართველოს საკითხის საერთაშორისო პრობლემათა კატეგორიიდან — რუსეთის შინაურ საკითხთა კატეგორიაში მოქცევა და ამით ჩვენი ისტორიის ჩარხის უკან, ეროვნული მონობის დროისკენ შებრუნება (ხაზი ჩვენია).

„ძალაუნებურად ისმება საკითხი: 21 ოქტომბერს პარიზში დაარსებული ორგანო „ეროვნული საბჭო“-ს სახელით თავისი შემადგენლობით გამოხატავს თუ არა მთელ პოლიტიკურ ქართველ ემიგრანტთაგან შემდგარ და უფლებამოსილ ცენტრალურ ორგანოს პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმისათვის შინ და გარეთ? რამდენადაც ვიცით მისი ორგანიზაცია ჯერ არ იყო დაარსებული, რადგან მას აკლდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაწილი ქართული ემიგრაციისა, მათ შორის საქ. ნაციონალ-დემოკრატიული პარტია“.

„ეხლა გამორკვეულად ჩაითვლება, რომ მიზეზი სრულიად ქართველთა შეთანხმების დაუსრულებლობისა და საჩქაროდ, ცალმხრივად შერჩევა-შედგენა ხსენებული „საბჭოსი“ გამოწვეული იყო „საგარეო ფაქტორის“ ქართულ საქმეში შემოჭრით და გავლენით. ეს „ფაქტორი“ ყოფილა კერძო ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლისა და ა. კერენსკის წინადადება ვისბადენის რუსულ კონფერენციაზე ქართველ დელეგატების გაგზავნისა. ამას მოჰყვა ნაჩქარევი შექმნა „ეროვნული საბჭოსი“ თავისი „აღმასრულებელი კომიტეტით“ და სასწრაფოდ ორი დელეგატის გაგზავნა ვისბადენში“.

„ყველა მოწმეა იმისა, თუ რა განზრახ ტენდენციით, ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლის პროტექციით და ფულით რუსი „დემოკრატები“ აწყობდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქმების აქტს, რასაც ბუნებრივად მოჰყვება თავისი ლოგიკური შედეგები“.

„ჩვენ მივმართავთ აგრეთვე ყველა პოლიტიკურ წრეებსა და პიროვნებებს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასაცავად ახდილად უარყონ ჩვენი ქვეყნის სუვერენობის საკითხში კომპრომისის გაკეთების ეს უმაგალითო და მავნე ცდა.

ცენტრალური ევროპის ქართული პოლიტიკური კომიტეტი:
მიხ. წერეთელი, დავ. ვაჩნაძე, დიმ. შალიკაშვილი,
ნ. ნაკაშიძე, ალ. ცომაია, მიხ. ალშიბაია.

უკრაინის ნაციონალური „რადი“-ს და მთავრობის განცხადებიდან

„რუსის ემიგრაციის ცდებმა, არა რუსის ხალხთა უპასუხისმგებლო წრეებთან ერთად ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნისათვის, სასტიკი და ერთსულოვანი წინააღმდეგობა და გულისწყრომა გამოიწვია უკრაინული ემიგრაციის პოლიტიკურ წრეებში. რუსის ემიგრანტების საერთო მიზანია რუსეთის იმპერიის მთლიანობის შენარჩუნება. ისინი ანგარიშს არ უწევენ მცირე ერთა მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. რუსის ემიგრაციის ეს ვულგარულ-რუსული პოზიცია, შეუძლებელს ქმნის მათთან ერთად — რუსეთის ფარგლებში ძალად მოქცეული ერების — თანამშრომლობას“.

„უკრაინის ნაციონალური რადა ფიქრობს, რომ ყველა იმ ერებს, რომლებსაც 1917 წლის რევოლუციის დროს ეროვნული დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, სრული უფლება აქვთ ბოლშევიზმის დაცემის შემდეგ ავტომატიურად დამოუკიდებლობა აღიდგინონ“.

„ჩვენ ვებრძვით რუსულ იმპერიალიზმს, როგორი სახითაც არ უნდა მოგვევლინოს“.

„რუსული იმპერიალისტური აქციის წინააღმდეგ გაერთიანებულია მთელი უკრაინული პოლიტიკური დაჯგუფებანი. მათი პოზიცია ერთია — უარყოფა რუსის ემიგრაციასთან კავშირისა და თანამშრომლობისა და მხილება რუსის ემიგრაციის იმ მეთოდისა, რომლითაც ცდილობენ მოძმე-დაპყრობილ ერებში უთანხმოებისა და განხეთქილების შეტანას“.

„უკრაინის პრესამ აიღო ინიციატივა რუსული იმპერიალიზმის შეიარაღებიდან თავდასაცავად მოძმე-დაპყრობილი ერების საერთო ფრონტის შესაქმნელად“.

უკრაინის ნაციონალური რადის აღმასრულებელი
ორგანოს სახელით: **ისაკ მაზეპა და ივანე ბაგრიანი.**

ჩრდილო-კავკასიელების 1951 წ. 16 ენკენისთვის მიუნხენის ყრილობის ოქმიდან

„კერენსკის ცდის შესახებ — (რათა შეიქმნას რუსის ორგანიზაციებისაგან „რუსის ხალხთა განმანთავისუფლებელი საბჭო“, რომელში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აც ცდილობენ მცირე ერების წარმომადგენლების შეყვანას) — ყრილობა ერთხმათ აღგენს, სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიოს მას და აღიარებს ჩრდილო-კავკასიის ხალხის უფრეკ ნებისყოფას, ძალით გაუქმებული სუვერენული სახელმწიფოს აღდგენისათვის“.

„ყრილობა „ავანტიურად“ აცხადებს გენ. ბიჩერახოვის ცდას, ჩრდილო-კავკასიელების სახელით, რუსულ ორგანიზაციებთან დაკავშირებისას“.

ყრილობის თავმჯდომარე: **ა. კანტიმირი.**
მდივანი: **მაგომედ ბ.**

ჩრდილო-კავკასიის ნაციონალური კომიტეტის დადგენილებიდან 1951 წ. 24 ნოემბერი

გამოცხადებულ იქმნას აბდურ. ავტორხანოვი კომიტეტიდან, არარსებული ორგანიზაციის სახელით ვისბადენის რუსულ კონფერენციაზე თანამშრომლობისათვის; რაც არ შეეფერება ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს.

კომიტეტის თავმჯდომარე: **მაგომა.**

ანკარის და სტამბულის ადერბეიჯანელთა კოლონ. რეზოლიუციიდან (ადერბეიჯანის ეროვნული საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის **რასულზადეს მოხსენების შემდეგ)**

„პროტესტს უცხადებთ ა. შეიხულ-ისლამოვს, ჯეიხუნ ხაჯიბეილს და ისმაილ აკბერს, არარსებული ორგანიზაციის სახელით რუსულ თათბირზე მონაწილეობისათვის. მათ მოინდომეს ჩვენი ეროვნული საკითხის რუსეთის შინაური საკითხათ გადაქცევა, და ამით ულალატეს ადერბეიჯანის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას“.

პიროვნებები, რომელნიც „ველიკორუსების“ პარტიებთან სათანამშრომლოთ მიდიან, არიან „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის“ იდეიური აგენტები“.

„ვისბადენის, კოლექტიური ხელმოწერილი დეკლარაცია, ამარცხებს ჩვენს ნაციონალურს პრობლემას, აქცევს ორ მას რუსულ-შინაურ **საკითხად.** აი **რატომ** სწყევლის ადერბეიჯანის ხალხი მათ. ვინც ამ გამცემლობის აქტს მისი სახელით ხელი მოაწერა“.

მუსავატის პარტიის განმარტება

1. „ადერბეიჯანის ეროვნული ერთობის საბჭო“ სინამდვილეში არ არსებობს, და მისი სახელით მომქმედი პირები საზოგადოებრივ აზრს ატყვილებენ.

2. ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის საკითხი საერთაშორისო საკითხების კატეგორიას ეკუთვნის და ერავის აქვს უფლება ის რუსულ-შინაურ საკითხად გადააქციოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ვინც ამ პრინციპის წინააღმდეგ მოქმედობს, იწვევს გულისწყრომასა და პროტესტს ყველა ჩვენი თანამემამულეთაგან, რომელნიც ერთგულნი არიან ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის.

მუსავატის პარტიის საინფორმაციო ბიურო.

ალმოსავლეთ - ევროპის, კავკასიის ერებისა და თურქესტანელთა წარმომადგენლების მიუნხენის კონფერენცია (1951 წ. 30 ნოემბერი).

ეს კონფერენცია მოწვეულ იქმნა ვისბადენის კონფერენციის საწინააღმდეგოთ. კონფერენციას თავმჯდომარეობდა ბ. მ. ლევიცკი. ყველა ერების იქ დამსწრე წარმომადგენლებმა გამოამჟღავნეს ვისბადენის რუსული იმპერიალისტური წამოწყების წინააღმდეგ, გარკვეული მათი ეროვნული მისწრაფებანი და უკომპრომისო პოზიციები. იქ მიღებული ვრცელი რეზოლიუციიდან, რომელზედაც ხელი უწერია ჩვენს თანამემამულე ბ. ა. კორძაიას, მოგვყავს ზოგი - ერთი დამახასიათებელი ადგილები: „რუსის ხალხთა განმათავისუფლებელ საბჭოს“ პრეტენზია აქვს გამოვიდეს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ხალხების სახელით, მიუხედავად იმისა, რომ ამ დაჩაგრულ ერებს ყავთ მათი ეროვნული წარმომადგენლობა, რომელთაც ეს უფლება ეკუთვნით“.

„რუსის ხალხის განმათავისუფლებელი საბჭოს“ ხელმძღვანელები ცდილობენ საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში მომწყვდეულ რუსეთის იმპერიის შენარჩუნებას. ეს იყო და არის ხალხთა საფუძველი“.

„რუსის ხალხის განმათავისუფლებელ საბჭოს“ ხელმძღვანელები ცდილობენ მათი ნებისყოფა თავზე მოახვიონ არა რუსი ერების ემიგრაციებს, იყენებენ რა ამ მიზნისათვის უკანასკნელთა წრეებიდან მორალურად სუსტ ელემენტებს; უკანასკნელნი შეჰყავთ როგორც ამ ხალხების წარმომადგენელნი მათ საბჭოში“.

გარდაცვალებულთა მოგონება:

† ექიმი ვახ. ღამბაშიძისა და გიორგი ჟურულის ხსოვნას

1951 წელი, ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისი, საბედისწერო ალმოჩნდა ქართული ემიგრაციის მოხუცთა და ხანშიშესულთათვის. მრავალთა შორის, ღვთის ნებით გარდაიცვალენ, ერისა და ისტორიის წინაშე ფრიად დამახასიათებულნი, ქართველთათვის ძვირფასნი და საყვარელნი, ექიმი ვახ. ღამბაშიძე და გიორგი ჟურული. ეს ორი ღირსეული ქართველი, ეკუთვნოდნენ მესამოცეანთა და მეოთხმოცეანთა წლების დიდ ეროვნულ - პოლიტიკურ მოღვაწეთა იმ დასს, რომელმაც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, უდიდესი ეროვნული შეგნებით, სიყვარულით, დაუშრეტელი ენერგიით და ძლიერი ნებისყოფით გამოაღვიძა - ააცოცხლა და ფეხზედ დააყენა, ქართული ერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნული ცხოვრების მიძინებული და მიმკვდარი ყოველი დარგი, სულიერი თუ მატერიალური. მათ ხშირათ და ხანგრძლივათ ბევრი საპასუხისმგებლო და საპატიო თანამდებობა ეჭირათ საქართველოში თუ ემიგრაციაში და მათი კეთილი ცხოვრების დასასრულამდე შესაფერისად ემსახურებოდნენ მათ საყვარელ ქვეყანასა და ერს. მათი სახით ემიგრაციამ დაჰკარგა იმ დიდი ეროვნულ მოღვაწეთა დასის უკანასკნელნი წარმომადგენელნი.

თანაგრძნობას უცხადებთ მათი ოჯახის წევრებს და ქართულ საზოგადოებას. მუხლს ვიდრეკთ და სამშობლოს ზეცას ვავედრებთ მათ სულს.

† ლევან მამულაიშვილი

იმავე, წარსულ წელში ქართულმა საზოგადოებამ დაჰკარგა ერთი, ფრიად ხანში შესული, კარგი ქართველი ლევ. მამულაიშვილი. განსახიერება სიკეთის, შრომისა და ოჯახისადმი სიყვარულის. ეკუთნოდა იმ შეძლებულთა რიცხვს-, რომელნიც შეგნებულათ და უხვად ეხმარებოდნენ მატერიალურად ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობას. განსვენებული ღირსეულად ატარებდა ქართულ სულს, შეგნებასა და ბუნებას.

თანაგრძნობას უცხადებთ მის დამწუხრებულ ოჯახს და ნეტარ იყოს ხსენება მისი.

† სვიეონ წერეთელი

ქართულმა ემიგრანტულმა ოჯახმა დაჰკარგა ისევე ხანში, ღრმად შესული კაცი „ბიძია სვიმონი“; ის არ იყო არც პოლიტიკური და არც საზოგადოებრივი მოღვაწე. იყო კაცად-კაცი ბუნებით სრული, ქართულ მიწაზედ, ქართულ ცხოვრებაში აღზრდილი, ყოველივე ქართული თვისებით შემკული და დაჯილდოებული, ქრისტიანი, სათნო და კეთილი, ქართული სულის, ფონების, ზნე-ჩვეულებათა და ადათთა ღირსეულად მატარებელი. ქართულ სუფრის თავადი, პურ-ღვინოზე ქართველთა სიყვარულის, ძმობისა, მეგობრობის და ერთობის მღაღადებელი და ხელოსანი. ყველასი ანდამატივით მიმზიდველი და დამმოყვრებელი, ლევილის ქართულ მამულში საქართველოდან გადმოტანილი ჭადრის ხე, რომლის ასაიაზოვნო ჩრდილში თავს იყრიდა იქ ჩასული ქართველობა, ილხენდა, დაკარგულ სამშობლოს იგონებდა და ეანიცდიდა. გახმა და წაიქცა ეს ჭადრის ხე. ქართული ზნე და სილამაზე მოაკლდა ლევილის მამულს. ვერავინ შესცვლის „ბიძია სვიმონს“.

ამას სტიროდა მისი კუბოს ირგვლივ ერთობლივად თავმოყრილი ქართველობა, რომელმაც ცრემლთა წვიმით გააცილა „ბიძია სვიმონი“ ქართულ ძმათა სასაფლაომდი.

იშვიათად გვინახავს კუბო კერძო უჭირისუფლოთ, იშვიათად გვინახავს მთელი საზოგადოება ამ უჭირისუფლო კუბოს ჭირისუფლად.

„ბიძია სვიმონი“ ქართულ ზნე-ჩვეულებათა შესაფერად იქმნა

დასაფლავებული, პურ-ღვინოთი, თანახმად მის მიერ დატოვებულ ანდერძისა.

ქართულ საზოგადოებასთან ერთად ჩვენც დავსტირით მის საფლავს. და ულრმეს თანაგრძნობას უცხადებთ მის დისწულს ბ. ი. ოთხმეზურს და მის „მვილობილს“ ისიდოროე ქარსელაძეს.

ვინლა შესცვლის „ბიძია სვიმონს“.

† დიმიტრი ჭიაბრიშვილი

გერმანიაში გარდაიცვალა ყოფილი ვექილი დ. ჭიაბრიშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელიც აჭარელთა დამცველად გამოვიდა ქართულ საზოგადოებისათვის ცნობილ „აჭარელთა პროცესში“. ერთი წლის წინ მან დაჭკარგა ინდოჩინეთის ომში მისი პირმშო შვილი ოთარი, ფრანგული ჯარის ოფიცერი.

ულრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ ამ კარგი ქართველის გარდაცვალების გამო.

† მელიტონ რუსია და ზაქარია ჩიჩუა

ამავე წელში ქართულ ემიგრაციას გამოაკლდნენ ორი ჩვენი თანამემამულენი მელ. რუსია და ზ. ჩიჩუა. ორივენი უალრესად პატიოსანი ადამიანები იყვნენ და მსხვერპლი გახდნენ საქართველოს უბედობისა.

თანაგრძნობას უცხადებთ მათ ახლობლებს.

† კოლონელი ლუი კოკე

უკანასკნელ ხანებში პარიზში გარდაიცვალა ფრანგი კოლონელი ლუი კოკე. განსვენებული იყო სიძე ჩვენ ცნობილ საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწის ნ. ნიკოლაძისა. ის დიდი მოყვარული იყო ჩვენი ერისა და ქვეყნის, და დიდი დახმარება აღმოუჩინა ჩვენს ემიგრაციას.

ულრმეს თანაგრძნობას უცხადებთ განსვენებულის ჭირისუფლებს.

„კედლის გაზეთის“ მეთოდი

ამ უკანასკნელ ხანებში ქართულ ემიგრანტულ პ რ ე ს ა შ ი, ჯერ არ არსებული თვითმხილების ახალი მეთოდი იქმნა შემოღებული. არგენტინაში გამოცემულმა „მამულმა“ ფარული კორესპონდენტები გაიჩინა და მათის კალმით ქარაგმებით ამხილებს და ამჟღავნებს ჩვენს თანამემამულეთა—ცოცხალსა და მკვდარს. ამ კორესპონდენტების კალამი არ ინდობს ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთ, რომელთაც საქმიანობის უნარი და ნიჭი გამოუჩენიათ ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე. არაგვგონია ამ ფულუბრყვილო კორესპონდენტების მიზანი იყოს ჩვენი ემიგრაციის გასვრა-გათახსირება. მათი მოქმედების შედეგი რომ არ არის კეთილი და სასარგებლო ჩვენი

ეროვნულ ემიგრაციისა და ერისათვის, ეს უდაოა. ასეთი ხასიათის კორესპონდენტები ნიადაგს უმზადებენ და უადვილებენ კერძო პირებს, უფრო გააამახვილონ ეს მეთოდი და ბოროტის განზრახვით ან კერძო ანგარიშების გასწორების მიზნით, უდიერათ მოექცენ, და საქვეყნოთ გალანძღონ ჩვენი მოღვაწენი. ბეჭდვითი სიტყვის ასეთი ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი უჩვეულო მაგალითი იყო პარიზში ბ. სალიას მიერ გამოცემული, ყოველთა დაუშვებელი, ფურცელი ჩვენი დამსახურებული პოლიტიკური მოღვაწის რ. გაბაშვილის ლანძღვა-გინებით აღსავსე. ამას მოჰყვა დემეტრაშვილის მიერ გამოცემული, ყოველივე ზნეობრივ საზღვრებს გადაცილებული ე. წ. „საბრალმდებლო აქტი“. საზოგადო მოღვაწის ექიმ გრ. ალშიბაიასა და მისი შვილის მიხეილის შესახებ. არის ერთგვარი ნათესაობა და იგივეობა ამ სამი სხვა და სხვა პირის მწერლობითი მოღვაწეობის შორის. ყოველ შემთხვევაში მათი მიზანი იგივეა. ჩვენ ვფიქრობთ ასეთი გამოსვლები დაგმობილი უნდა იქმნას ქართული საზოგადოებრივი აზრის მიერ, რომ ბოლო მოეღოს ჩვენი ეროვნული ემიგრაციის დაუმსახურებლათ გახრწნა-გათახსირების ბოროტ ცდებს.

ელ. პატარიძის მოხსენება სოშოში

წარსული წლის ნოემბრის შუაბრიცხვებში სოშოს კოლონიის ესტუმრა ერ.-დემ. პარტიის პარიზის კომიტეტის რამოდენიმე წევრი, რომელთაგან ბ. ელ. პატარიძემ გააკეთა საჯარო მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობა და ქართული ეროვნული ერთობა“. მომხსენებელმა დაახასიათა ქართული ემიგრაციის პოლიტიკური მდგომარეობა, აუცილებლად მიიჩნია ეროვნული ერთობის აღდგენა და დასახა ამისათვის წინასწარი პირობები. კრებაზედ მეტად თბილი და მეგობრული განწყობილება დამყარდა, რაც შედეგი იყო, კრების თავმჯდომარე ბ. ს. ჭარაქაძის ტაქტიკური და ზომიერი მოქცევისა და თვით მომხსენებელის მიერ ობიექტივობის დაცვისა და შემარიგებელი პოზიციის დასახვისა. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს: ბ.ბ რ. ყიფიანმა, ევტიხი აბულაძემ, ივან. ასათიანმა, მ. შათირიშვილმა, გრ. აბულაძემ, ალ. აბაშიძემ, პ. ფარცხაშვილმა და სხ. **დ. ა.**

პარიზი. ენკენისთვე. 1951 წ.

„ჩვენი დროშა“-ს რედაქციას!

„ჩვენი დროშა“-ს მე-9 ნომერში ჩვენსადმი საპასუხო წერილში „უბადრუკი გამოლაშქრება“ მოთავსებულია ფრიად უპასუხისმგებლო და მძიმე ბრალდება: „ჩვენ ვიცით რომ ეს მუქარა უკვე განხორციელებულია საფრანგეთის ადმინისტრაციის წინაშე“-ო. ასეთი ყოვლად უსაფუძვლო და უსამართლო ცილის წამებისათვის გიცხადებთ ჩვენს აღშფოთებასა და გულისწყრომას და მოვითხოვთ, არა

მარტო საფრანგეთში არსებულ პრესის კანონის, არამედ კეთილ-სინდისიერების ძალით თქვენი ორგანოს უახლოეს ნომერში უარყოთ ეს ყოველად უსაფუძვლო და უმსგავსო ბრალდება და გარკვევით აღნიშნოთ, რომ ის არ შეეხება არც „ივერია“-ს და არც ეროვნულ-დემოკ. პარტიის ხელმძღვანელობასა და წრეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვთ მომხდარი ფაქტი (???) სისწორით დაახასიათოთ და მისი ავტორის ვინაობაც ქართულ საზოგადოებას ამცნოთ.

პატივისცემით „ივერიის“ რედაქტორი და ერ.-დემ. პარტიის პარიზის კომ. თავმჯდომარე:

ელ. პატარიძე.

ალ. მანველიშვილი — „რუსეთი და საქართველო“

ბ. მანველიშვილმა შესძლო ამ დიდტანიანი წიგნის (446 გვერდი) შედგენა და გამოცემა. პირველიც და მეორეც დიდი გმირობაა ამ ჩვენს ემიგრანტულს პირობებში. წიგნში თავმოყრილ მასალების დიდი ნაწილი სრულიად ხელმიუწვდენელია აქ უცხოეთში, და თვით საქართველოშიაც არ არის ადვილი საშოვარი. ასეთი ნაშრომის დიდი მნიშვნელობა ემიგრაციისათვის საკმაოდ ცხადია, და არა მარტო ემიგრაციისათვის, საქართველოშიდაც დიდი გამოსადეგი იქნება, რადგან ამ სახის გამორკვევა არ გვქონდა აქამომდე. შესაძლოა ავტორს უსაყვედურონ, რომ მისი კილო ყველგან არ არის აკადემიური. ამას ის თვითონ აღნიშნავს, და ჩვენ იმას დაუმატებთ, რომ თქმაა ისეთი ხასიათის, რომ მის შესახებ მეტადამ ცივად მსჯელობა თვით ივანე ჯავახიშვილმაც ვერ შესძლო. ასეთი გამოცემა ფართედ უნდა გავრცელდეს ემიგრაციაში და ეს მისი ზნეობრივი მოვალეობაა. ამით ის შეუმსუბუქებს ავტორს ასეთი შრომით აღებულ დიდს ტვირთს და ზნეობრივ დაკმაყოფილებას მიანიჭებს.

შეცდომის გასწორება

„ივერიის“ მესამე ნომერში მოთავსებულ ბ. **ალ. ასათიანის** წერილში უნდა გასწორდეს შემდეგი შეცდომები: გვ 4, მეათე სტრიქონი ბოლოდან, უნდა იყოს: **რომ ამის სურვილი** და სხ.; იქვე მეხუთე სტრ. უნდა იყოს: **ეს საუკუნეთა მანძილზე აუტანიათ, ხოლო მათი** და სხ.; გვ. 6, ზევიდან 21 სტრიქონი, უნდა იყოს: **ბედნიერების ნაცვლად** და სხ.

პარიზში გამოვიდა **ალ. მანველიშვილის**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა

ფრანგულ ენაზედ. პროფ. **ჟ. კასტრის** წინასიტყვაობით

იყიდება 1.500 ფრ. გამოწერა შეიძლება ავტორთან საფასურის წინასწარი გადაგზავნით. 118, rue des Pyrenees Paris (20).

დასაბეჭდი მასალები უნდა გადმოიგზავნოს რედაქციის მდივანთან:
V. CHOUBLADZE 35, rue du Banquier, Paris (13).

Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.

n-542